# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი 23 დეკემბერი 1998 №235 (770) ფასი 50 თეთრი



## საზოგადოებამ უნდა იცოდეს: საქართველოს სპორტი დაღუპვის პირასაა!

### გვაფრთხილებს სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი

იხილეთ მეათე გვერდი

## გუშინ ქვეყანა ინგრეოდა

*თუ გახსოვთ, ამ ზაფხულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან „სარბიელში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში მის სპორტულ გატაცებებზე რომ ვსაუბრობდით, გვითხრა, აუზში საცურაოდ ყოველდღე დავდივარ, თუ ქვეყანა არ ინგრევაო.*

*გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე შესვენებაზე საცურაოდ ველარ წავიდა...*

არა, გუშინ ქვეყანა არ იქცეოდა, მაგრამ სპორტის საქმე კი დანგრევის პირასაა.

კაცმა რომ თქვას, არც მთლიანად ჩვენი ქვეყნის საქმეა უკეთ და რაღა გასაკვირია, რომ სპორტი ასეთ შავ დღეში ჩავარდნილა.

ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ისეთი რა შედეგები გვქონდა, მაგრამ საქართველოში სპორტისადმი დამოკიდებულება თუ კარდინალურად არ შეიცვალა, სიდნეიში უარესს უნდა ველოდოთო, გვითხრა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ინტერვიუში, რომელსაც დღევანდელი „სარბიელის“ მეათე გვერდზე გაეცნობით, მანამდე კი ისა ვთქვათ, რომ სიდნეიში კრახის ასაცილებლად სეოკ-ის აღმასკომს აუცილებლად მიაჩნია მიზნობრივი დაფინანსება დევიზით: „სიდნეი-2000“.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის საჭეთმპყრობელებმა გუშინ თავიანთ შტაბ-ბინაში მიიწვიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, მისი მოადგილე ელდარ შენგელაია, განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ამაღლობელი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე, პარლამენტარები, სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი შულაროვი...

სტუმრებს ჯანო ბაგრატიონმა სეოკ-ის მუზეუმში შეახსენა საქართველოს ოლიმპიური ისტორია, მისი ტრადიციები და მართლაც საამაყო მიღწევები, მერე კი მის სავალალო მდგომარეობაზეც ისაუბრა.

ბაგრატიონის ნათქვამი უფრო განავრცეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა, საქართველოს ეოკ-ის აღმასკომის წევრებმა, სპორტის აკადემიის რექტორმა ომარ გოგიაშვილმა, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ, სპორტულ ფედერაციათა მეთაურებმა და მწვრთნელებმა.

სტუმრებმა, ბუნებრივია, იკითხეს, თუ მიიღებთ იმ თანხას, რომელსაც ითხოვთ, რას გვპირდებითო.

— ჩვენ შვიდივე წონით კატეგორიაში მოვიპოვებთ ლიცენზიას — თქვა ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა.

— ძიუდოისტთაგან მედლების მოპოვება, უპირველეს ყოვლისა, შეუძლიათ გიორგი რევაზიშვილსა და გიორგი ვაზაგაშვილს; თუ ივარჯიშებს, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ დავით ხახალეიშვილსაც — აზუსტებს კახი ასათიანი.

— ჩვენი მოჭიდავეები ორ მედალს ჩამოიტანენ — ოპტიმისტურად აცხადებს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი.

— უკეთ გამოვალთ, ვიდრე ატლანტაში — მოკრძალებით ამბობს ჯანო ბაგრატიონი.

— ეს ცოტაა, ოქრო უთუოდ უნდა ჩამოიტანოთ — ნახევრადხუმრობით ითხოვა ზურაბ ჟვანიამ.

და საერთოდ, სეოკ-ის შტაბ-ბინაში ეს თავყრილობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სპორტისა და სპორტსმენების ათას გასაჭირსა და უბედურებაზე იყო საუბარი, მაინც კარგ ნოტაზე დასრულდა, რადგან სტუმრებმა მასპინძლებს დახმარება აღუთქვეს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ჯანო ბაგრატიონი, ზურაბ ჟვანია, ელდარ შენგელაია და ნოდარ ამაღლობელი




## CITIUS, ALTIUS, FORTIUS!

**თუ გინდათ, რომ სიდნეიში ეს ოლიმპიური დევიზი გავამართლოთ და მართლაც სწრაფად, მაღლა და ძლიერად ვიფრინოთ, მაშინ უნდა დაგვეხმაროთ!**

**ეუბნება ჯანო ბაგრატიონი ზურაბ ჟვანიას**



## ზიდანის წელიწადი

- ჩინელებს თუ ვკითხავთ, 1998 წელი ვეფხვისა იყო.
- საფეხბურთო ევროპამ ეს წელიწადი ზინედინ ზიდანის წლად აღიარა.
- საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ გამთამაშებელმა წლის ბოლოს ჩატარებულ უამრავ გამოკითხვაში გაიმარჯვა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟული ორი გახლდათ, ჟურნალ „ფრანს ფუტბოლისა“ და სააგენტო „როიტერის“ რეფერენდუმები.
- „ფრანს ფუტბოლის“ თანახმად ზიდანი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.
- „როიტერმა“ იგი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარა.
- თუკი ზიდანის საუკეთესო ფეხბურთელობა წლეულს ეჭვს არ იწვევდა, მისი საუკეთესო სპორტსმენობა ნამდვილი გმირობის ტოლფასია, ვინაიდან გუნდური სახეობის წარმომადგენელი თვალუწვდენელ სიმაღლეებს უნდა შეეთამაშოს, „ინდივიდუალისტებზე“ მაღლა რომ დააყენონ.
- ზიდანმა ეს შეძლო.
- წერილებს საუკეთესო ფეხბურთელისა და სპორტსმენის შესახებ მე-6 და მე-12 გვერდებზე გთავაზობთ.

წლეულს ბოლო „სარბიელი“
შაბათს, 26 დეკემბერს გამოვა.
დამდეგი, 1999 წლის პირველ „სარბიელს“ კი საშობაო-საახალწლო არდადეგების მერე, 12 იანვარს მიიღებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

# ტრადიციისმოყვარე

*უცნაური გუნდია გორის „დილა“. უკვე მერამდენე წელია, ჩემპიონატს ალმავლობით იწყებს, გარკვეული ვადით გათამაშების ცხრილის თავშიც მოგვევლინება, მერე კი დანთებული ცეცხლი შუა გზაზე ნელდება და საბოლოოდ მერვე ადგილს სჯერდება. ქართლელები ყოველ ახალ საფეხბურთო სეზონს ახალი პრეზიდენტით და ახალი მწვრთნელით იწყებენ. კლუბის ახალ თავკაცს, ტრადიციისამებრ, მხოლოდ ორი თვე ჰყოფნის შეძლება, ფეხბურთელებს ხელფას-პრემიები დაურიგოს, მერე „სალარო“ ცარიელდება და გუნდიც ქალაქის ხელმძღვანელობის სარჩენია, თუ, რა თქმა უნდა, იმას რჩენა ჰქვია, რასაც მოთამაშეები იღებენ. რაც შეეხება მწვრთნელს, გორში ისე იცვლება, როგორც ამჟამად ლარის კურსი ქვეყანაში.*



თუ დასჭირდა, „დილა“ არც ჩხუბში დათმობს რამეს

გაგა [illegible] ფოტო

**ასე იყო** ადრე და, რა თქმა უნდა, ვერც მეათე ეროვნულის დასაწყისი იქნებოდა გამონაკლისი. ახალი მთავარი მწვრთნელი ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე მოიძიეს გორელებმა. ივანე თაყაძეს გუნდში არასახარბიელო სიტუაცია დახვდა. როგორია, თორმეტი ფეხბურთელი წაგივიდეს, აქედან სულ ცოტა რვა მოთამაშე ძირითადის იყოს და სეზონის დაწყება საფეხბურთო სკოლის ბავშვებით გიწევდეს. ალბათ დაგვეთანხმებით, მსგავს სიტუაციაში ბევრი თავს შეიკავებდა, მაგრამ ერთიცაა, ვილაც ხომ უნდა დათანხმებულიყო და თაყაძემაც იტვირთა მძიმე მისია.

ვეტერანებს, ციცქიშვილს და მარეხაშვილს, იმ დროისთვის უკვე „ცხინვალში“ გადაბარგებული ხვიჩა გაგნიძე შეუწყვილეს, სამეულს რეზო ხაჭაპურიძე და ალეკო კაიდარაშვილი მიემატა. ხუთი კაცი ჯერაც არ იყო ფეხბურთის გუნდი. ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, „დილას“ მეკარის პრობლემა უნდა მოეგვარებინა. არჩევანი მანამდე შანსმიუცემელ დავით მდივანზე შეაჩერეს. აქამდე თითქმის მარადმწვანე სათადარიგოდ ქცეულმა მეკარემ მწვრთნელებს ნდობა გაუმართლა. „დილამ“ მისი წყალობით არაერთი ქულა შემატა თავის მარაგს. ექვსი ფეხბურთელი და დანარჩენი ბავშვები, სულ ესენი იყვნენ გორელების რჩეულები.

ჯერი ახალ მეპატრონეზე მიდგა. პრეზიდენტობა ერთმა, თუნდაც რამდენიმე პირმაც, არ ისურვა და გუნდი რომ არ დაშლილიყო, „დილას“ ჩვენ ვუპატრონებთო თქვეს ქალაქის თავკაცებმა.

ჩემპიონატის დაწყებამდე „დილა“ ათდღიან შეკრებაზე წავიდა სურამში. რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვაც მოახერხეს და წინასასეზონო მომზადებაც ამით ამოიწურა.

დაიწყო სეზონი და ახალშეკოწიწებული გუნდი ბევრისთვის აღმოჩენად იქცა. „დილა“ ზედიზედ იხვეჭდა ქულებს. გორელები ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებდნენ სუსტებსაც და ამბიციამოჭარბებულებსაც. თსუ, „ვიტ ჯორჯია“, „კოლხეთი“, „ტორპედო“ იძულებულნი იყვნენ, გორელთათვის ხარკი ეხადათ. ვერც გორელებითვე დაკომპლექტებულმა „ლოკომოტივმა“ შეძლო „დილას“ დაჩოქება.

პირველი წრის ნახევარი რომ გაილია, ადრინდელივით, „დილასაც“ გაუქრა თამაშის სურვილი. ბუნებრივიც იყო, როცა ფეხბურთელმა იცის, რომ მოიგებს თუ წააგებს, ორივე შემთხვევაში ჯიბეგაფხეკილმა უნდა იაროს, თავს არ მოიკლავს. დაგროვილ ქულათა რაოდენობა „დილას“ უზრუნველი ცხოვრების საშუალებას აძლევდა, გუნდს გავარდნის საშიშროება არ ემუქრებოდა და გორელთა ჟინიანმა გარჯამაც მოგჭამათ ჭირი. არადა, „დილამ“ შედეგს, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელთა თავგანწირული თამაშის წყალობით მიაღწია. ვერ გაუძლო ქალაქის ბიუჯეტმა ხელფას-პრემიების დროულ ანაზღაურებას.

–გორელებს ახალი არაფერი მოუგონიათ, ისინი მოძველებულ ფეხბურთს თამაშობენ, ოღონდ თავიანთ შესაძლებლობებს თავგანწირვას უმატებდნენ. შეგვიძლია, მათ სათამაშო ტაქტიკას თანამედროვე შესატყვისიც მოვუძებნოთ, ამათ სისტემას პირობითად 5-3-2 ვუწოდოთ. ხუთი მცველიდან სამი ცენტრალურად მოვნათლოთ. ლიბერო ხაჭაპურიძის წინ გამოცდილი ხვიჩა გაგნიძე და ახალგაზრდა სამხარაძე იდგნენ. ფლანგების ჩაკეტვა, ათლეტურ, მაგრამ მოძრავ გიორგი ჩიტაიასა და შედარებით ტლანქ ოღონდ მეტად ხისტ ფეზუაშვილს ევალებოდათ. ნახევარდაცვაში უხუცესი მარეხაშვილი და ციცქიშვილი აგორებდნენ ბურთს, რომელთა შუაშიც შატაკიშვილი იბრძოდა. თავდასხმაში გორელთა მთავარი იმედი კაიდარაშვილი იღწვოდა, რომელსაც ხან რომან ახალკაცი ეხმარებოდა, ხანაც ბექა ჩიტაია.

პირველ წრეში „დილას“ შემადგენლობაში კიდევ არაერთმა ფეხბურთელმა ითამაშა, მაგრამ ძირითადი ტვირთი ზემოთ ჩამოთვლილებმა ზიდეს. გორელთა მთავარი მიზანიც ეს იყო, მეკარეს და დაცვას გოლი არ გაეშვათ; მდივანმა და კომპანიამ მთელ რიგ მატჩებში დავალება პირნათლად შეასრულეს. დაცვა ჩაშლიდა მეტოქის შეტევას და როგორმე ბურთი მარეხაშვილთან ანაც ციცქიშვილთან უნდა მოხვედრილიყო. ვეტერანებს, მართალია, ახალგაზრდული ენერგია არ შერჩენიათ, მაგრამ სამაგიეროდ პასი უჭრით. ძირითადად კაიდარაშვილისკენ იგზავნებოდა ბურთი. ალეკოს კი თავით თამაშიც კარგად შეუძლია და ბურთის დაჭერა და მეტოქის მოტყუებაც ძალუძს. გუნდის მთავარი მეგოლე მოწინააღმდეგე მცველთა უდიდეს ყურადღებას იმსახურებდა. ამით კი სხარტი ახალკაცი და ეშმაკი ჩიტაიაც ხშირად სარგებლობდნენ. სულ ეს იყო „დილას“ საიდუმლო. გორელების მიერ მოგროვილი 22 ქულაც სარეკორდო გამოდგა კლუბის ისტორიაში. „დილას“ პირველ წრეში ამდენი არასდროს ჰქონია.

ჩემპიონატის პირველ ნახევარში „დილა“ განსაკუთრებით სამ თამაშს დაიტრაბახებდა. „კოლხეთთან“ და „ტორპედოსთან“ შინ და „ლოკომოტივთან“ გასვლაზე. ფოთელების წინააღმდეგ განსაკუთრებით მობილიზებულნი და შემართულები გამოვიდნენ გორელები. ხუმრობა ხომ არ იყო, კოლხთა ძლევაში ხელმძღვანელობა ას-ას ლარს ჰპირდებოდა თითოეულ ფეხბურთელს. გუნდმა თამაში მოიგო, ხოლო „უფროსობამ“ დანაპირები ან ვერ, ანაც არ შეასრულა.

ჩემპიონობის მძიებელი „ტორპედო“ გორს ისეთ დროს ეწვია, როცა შინაურ სამზარეულოში მთლად დალაგებულად ვერ ჰქონდა საქმე დალხინებულად არც გორელები გრძნობდნენ თავს, მაგრამ ქუთაისელთა ინერტულობა და უიღბლობა სათავისოდ გამოიყენეს და მოიგეს.

რაც შეეხება „ლოკომოტივთან“ მიღწეულ ფრეს, ახალგაზრდა გორელებმა ყოფილ თანაგუნდელებს აგრძნობინეს, უთქვენოდ გუნდს არც არაფერს გავუჭირვებთ, არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო.

„დილას“ პირველ წრეში კიდევ ჰქონდა წარმატებული მატჩები და ამათ ფონზე ცოტა არ იყოს საეჭვოდ ჩანდა წაგება ლანჩხუთში სულთმობრძავ „გურიასთან“. ასევე მარცხი შინ „სამგურალთან“ და სკანდალური ყაიმი თბილისურ „მერანთან“. თუმცა „დილასთვის“ ესეც დამახასიათებელია. მსგავსი რამ ქართლელებს ადრეც სჩვეოდათ და ტრადიციას ახლა ხომ არ უღალატებდნენ. გორელებისგან ამგვარს მეორე წრეშიც უნდა ველოდეთ.

სხვა რა მოეთხოვება გუნდს, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში ერთი მიზანიღა ამოძრავებს, როგორმე შეინარჩუნოს ადგილი უძლიერესთა შორის. მიზანი პირველ წრეშივე მიღწეულია. 22 ქულას კიდევ ათიოდეს იოლად მიუმატებენ და რომელი აუტსაიდერია მერე მათი დამწევი. „დილაც“ საბოლოო ადგილს ათეულში დაიმკვიდრებს და ახალ ჩემპიონატს დაელოდება. ზოგჯერ ხუმრობენ კიდეც გორელები — ქართლელები ტრადიციის მოყვარე ხალხი ვართ და ერთბაშად წლობით დანერგილს ხომ არ ვუღალატებთო. ხუმრობა იქით იყოს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ „დილას“ ეროვნულ ჩემპიონატში გაცილებით მაღალი ამბიციები არ გამოუჩნდება. ასე იქნება მანამ, სანამ ფეხბურთელებს სტიმული არ გაუჩნდებათ. ჯიბეგაფხეკილები კი მხოლოდ ამას ახერხებენ, „დილას“ ჯგუფის დატოვება არ ემუქრება.

როცა „დილაზე“ წერილს წერ, მაშინ გორელი გულშემატკივარი არ უნდა დაივიწყო. გუნდის ყველა მოგებულ თამაშში ამათი უდიდესი წვლილიცაა. ქომაგთა დაუზარელ მხარდაჭერას გორში ბევრი გუნდი გაუტეხია. არც გასვლით მატჩებში გრძნობენ ქართლელები თავს ეულად. არიან ისეთი ერთგულებიც, რომლებიც არ დაიზარებენ და „დილას“ სხვა რაიონებშიც დაჰყვებიან. თუმც ამ ბოლო დროს საყვედური მათ მიმართაც დაგვცდენია.

საყვარელი გუნდის ქომაგობა მაინცდამაინც სტუმარი გუნდის გინებით რომ არ უნდა იწყებოდეს, რა დიდი ფიცი-მტკიცი ამას სჭირდება. პირველ წრეში ასეთი შემთხვევებიც გვახსოვს და გორიდანაც არაერთი გუნდი გაბრუნებულა გულდაწყვეტილი.

კლუბის ხელმძღვანელები არსებულ პირობებს მისაღებად თვლიან, მათ მიღწეული შედეგიც აკმაყოფილებთ. ან რატომ დაიწუხებენ, როცა გათამაშების ცხრილში მეექვსე საფეხურზე ყოფნა ჩვენში არერთი გუნდის აუხდენელი ოცნებაა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იმას არავინ გაიხსენებს, რომ მიღწეული ორიოდ თავგანწირულისა და ფეხბურთელების შიშველი ენთუზიაზმის შედეგია. რაიმე რომ იყოს, მადლობას „უფროსობას“ მოახსენებენ.

სინამდვილეში კი რეალობა გაცილებით მძიმეა. დაგვიანებულ ხელფასებს, არარსებულ პრემიებს კიდევ მოევლება, მაგრამ გუნდს საჭმელი რომ არა აქვს, ექიმი რომ არ ჰყავს და ფეხნატკენ ფეხბურთელს ოდენ ცივი წყლით რომ წამლობენ თუ ეშველება რამე. გასვლით თამაშებზე ამგზავრებული „დილა“ დანიშნულების ადგილზე როდის ჩააღწევს, არავინ იცის. ავტობუსია გაუმართავი და იმიტომ. მერე მძღოლს და ფეხბურთელებს ერთად უხდებათ ძრავის შეკეთება...

**მამუკა კვანტალიანი**

## დილას შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | გორდა | 1:1 | სტუმრად |
| 2 | სიონი | 2:0 | შინ |
| 3 | თსუ | 1:0 | სტუმრად |
| 4 | კოლხეთი | 2:1 | შინ |
| 5 | ოდიში | 1:2 | სტუმრად |
| 6 | ბათუმი | 0:1 | შინ |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 2:1 | სტუმრად |
| 8 | იბერია | 2:1 | შინ |
| 9 | ლოკომოტივი | 0:0 | სტუმრად |
| 10 | ტორპედო | 3:0 | შინ |
| 11 | გურია | 2:4 | სტუმრად |
| 12 | არსენალი | 2:2 | სტუმრად |
| 13 | სამგურალი | 0:1 | შინ |
| 14 | დინამო | 0:4 | სტუმრად |
| 15 | მერანი | 3:3 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ვიქტორ მარეხაშვილი | 15 | 4 | 0 | 0 |
| პაატა ფეზუაშვილი | 15 | 0 | 2 | 0 |
| რევაზ ხაჭაპურიძე | 14 | 0 | 1 | 0 |
| ქეთევან შატაკიშვილი | 14 | 0 | 1 | 0 |
| ხვიჩა გაგნიძე | 13 | 0 | 2 | 0 |
| მიხეილ თაყაძე | 13 | 2 | 2 | 1 |
| დავით მდივანი | 13 | -18 | 0 | 0 |
| თამაზ ციცქიშვილი | 13 | 2 | 2 | 1 |
| ალეკო კაიდარაშვილი | 12 | 9 | 3 | 0 |
| გიორგი ჩიტაია | 11 | 0 | 2 | 0 |
| ნიკოლოზ ახალკაცი | 10 | 1 | 0 | 0 |
| ვლადიმერ სამხარაძე | 10 | 0 | 0 | 0 |
| ბექა ჩიტაია | 10 | 1 | 1 | 0 |
| გიორგი მოსულიშვილი | 9 | 1 | 0 | 0 |
| ლევან გოჩაშვილი | 8 | 1 | 1 | 0 |
| დავით მასურაძე | 6 | 0 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ აკოფიანი | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა გუდუშაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 |
| თამაზ ილურიძე | 2 | -3 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




საქართველოს ჩემპიონატი

## 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაიფია ამაღ ნაღეი

*დინამო:* ნაქეიფარი ჩანხარ?

*დილა:* გუშინწინ კობას დაბადების დღე იყო.

*დინამო:* კობა ახალკაცის?

*დილა:* ჯუღაშვილის...

*დინამო:* იმ დიქტატორის, 29 წელი ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერი რომ იყო?

*დილა:* მაშინ შენც...

*დინამო:* ფეხბურთს და პოლიტიკას ერთმანეთში ნუ ურევ.

*დილა:* აბა გავრილოვს რომ ამჯობინებდნენ ყოფიანს?

*დინამო:* ეგ ადრე იყო.

*დილა:* ირანის და ამერიკის შეხვედრა?

*დინამო:* ესე იგი დიქტატორობაში მადანაშაულებ?

*დილა:* მაგას სასამართლოზე გაარკვევენ, სამტრედიელს შეუტანია სარჩელი...

*დინამო:* ძველ ამბებს მიხსენებენ?

*დილა:* ძველსაც და ახალსაც. ვილაც ბებერ ქალბატონთან დაგიჭერია საქმე...

*დინამო:* რომ არ გამოვცხადდე?

*დილა:* ნაკრებში თამაშს არ გაღირსებენ.

*დინამო:* აბა ვის დაუძახებენ?

*დილა:* გორელებს და ქუთაისელებს.

*ტორპედო:* 3:0 მომიგე უსირცხვილოდ და ახლა დაგჭირდი?!

*დილა:* შენ რო ჩემთვის რკო არ მოგიტანია?

*ტორპედო:* რკოს საიდან მოგიტანდი?

*დილა:* საღორიის მუხნარიდან.

*ტორპედო:* ვითომ არ იცი, პურზე და მაწონზე რომ ვიყავი?

*დილა:* ბელგიაში აპირებდი ნისიად სტუმრობას და რომელი უცხო მე ვიყავი.

*ტორპედო:* გაჩუმდი! დავითის დრო არ გეგონოს.

*დილა:* დავითის თუ ალექსანდრეს?

*ტორპედო:* ნაპოლეონის...

*დილა:* ეგ ვინღაა?

*ტორპედო:* სუკის სიყვარულით დასნეულებული გურმანია.

*დილა:* მერე არ მკურნალობს?

*ტორპედო:* კი, ტალახებით...

*დილა:* უშველა?

*ტორპედო:* არა. ვიტელმა ზღვაზე წასვლა გამოუწერა.

*დილა:* ფოთში?

*ტორპედო:* რომელი იაზონი ის მყავს. ბათუმში მიდის.

*დილა:* ბათუმი არ მიხსენო!

*ბათუმი:* ხომ დაგილაშქრე წლეულს ორჯერ ციხე...

*დილა:* ის მთვარესავით ბიჭი როგორა გყავს?

*ბათუმი:* ვისზე მეუბნები?

*დილა:* ვითომ არ იცი? შენს თამაშებზე ხშირ-ხშირად რომ სტუმრობს.

*ბათუმი:* აღარ მეტყვი ვინაა?

*დილა:* ბადრი იამანიძე.

*ბათუმი:* მასეთს არავის ვიცნობ.

*დილა:* ჰო, გვარი გამოიცვალა და ახლა ჭავჭავაძეა...

*ბათუმი:* მომკალი და ვერ ვიხსენებ.

*დილა:* მეორე წრეში გაზაფხულზე გაგახსენებ.

*ბათუმი:* ვნახოთ, გაზაფხულიც მალე მოვა!

*დილა:* შენთვის არა.

*ბათუმი:* ვითომ რატომ?

*დილა:* მახარაძე — გორი — თბილისის მატარებელი გადაგივლის თებერვლის ბოლოს...

*ბათუმი:* მახარაძე კი არა ოზურგეთი.

*დილა:* თავს ნუ იკატუნებ. შე ფუნქცია დაკარგულო!

*ბათუმი:* ერთი შენი ფუნქცია გამეგო და მომკლა თუ გინდა.

*დილა:* არსენა მარაბდელი გაგიგონია?

*ბათუმი:* მერე?

*დილა:* მდიდარს ვართმევ და ღარიბს ვაძლევ. ესაა ჩემი ფუნქცია.

*ბათუმი:* არმიელის?

*არსენალი:* ახალი წლის ღამეს ნახვ-

# გორის «დილა». VI ადგილი

# სასწაული თურმე გორშიც ხდება

*ასეც ხდება ხოლმე. „სარბიელისთვის" რესპონდენტობა „დილას" მთავარ მწვრთნელ ივანე თაყაძეს უნდა გაეწია, შეთანხმებულიც ვიყავით, მაგრამ გორელთა თავკაცს ახლობელი გარდაცვლია და გორში ასისტენტი დაგვახვედრა. ვლადიმერ ელიაური ერთი ხანობა „დილას" მთავარი მწვრთნელიც იყო. გუნდის „სამზარეულოში" კარგად ჩახედულს, ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა არ გასჭირვებია.*



ვლადიმერ ელიაური

**— „დილას" ხელმძღვანელები პირველი წრის შედეგებით თუ დარჩნენ კმაყოფილნი?**

— მგონი, გუნდს უკმაყოფილების საბაბი არ მიუცია. არსებულ პირობებში მეტის მიღწევა უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ. რა დონეზეც შეგვეწივნენ, ამონაგებიც ამ რაოდენობისა იყო.

**— მწვრთნელები თუ ელოდნენ მსგავსს დასაწყისს?**

— მართალი გითხრათ, მხოლოდ ერთი საფიქრალი გვქონდა, როგორმე იმდენი ქულა დაგვეგროვებინა, მთლად განწირულები არ ვყოფილიყავით. მეორე წრის უფრო გვეიმედებოდა. ვიფიქრეთ, პირველ წრეში გუნდს შევათამაშებთ, ახალგაზრდები გარკვეულ გამოცდილებას შეიძენენ მერე დაკარგულსაც მეტ-ნაკლებად ავინაზღაურებთო.

აბა, ამის მერე მეექვსე ადგილზე როგორ ვიოცნებებდით. არა, ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს.

**— შედეგს რის ხარჯზე მიაღწიეთ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. წარმოიდგინეთ, გუნდი თითქმის ჩემპიონატის დაწყების წინ შევაკოწიწეთ. ფაქტობრივად საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებით დავკომპლექტდით. ერთი შეკრება და რამდენიმე ამხანაგური თამაში იყო ჩვენი მოსამზადებელი ციკლი.

ალბათ, ყველაფრის მიზეზი ისევ ჩვენებურ ჟინიან თამაშში უნდა ვეძიოთ. თავგანწირვამ და ძალების სრულად მობილიზებამ მიგვიყვანა აქამდე.

არც ტაქტიკური მრავალფეროვნება გამოგვარჩევდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, შინ ვითამაშებდით, თუ სტუმრად. სტილი ერთი იყო, ვთამაშობდით დაცვიდან და ვუცდიდით მეტოქის შეცდომებს, რომლებსაც, ჩვენდა საბედნიეროდ, წუნი საკმაოდ ჰქონდათ.

ვის ეგონა, რეზო ხაჭაპურიძე, უკანა მცველის პოზიციაზე ასე თუ გაამართლებდა, ანაც ალეკო კაიდარაშვილი ასე თუ მოუმატებდა. ვეტერანების, მარეხაშვილის და ციცქიშვილს იმედად ვიყავით, რომლებიც მინდორზე მწვრთნელის და მასწავლებლის ფუნქციებსაც ითავსებდნენ.

სულ ეს იყო ჩვენი საიდუმლო. სხვებისგან განსხვავებული არც სავარჯიშო პროცესი გვქონდა. ათდღიან შეკრებაზე ორჯერად ვარჯიშებს ვატარებდით, რომელიც ჩემპიონატის მსვლელობისას ერთჯერადზე გადავიყვანეთ. ფინანსები კი, მოგეხსენებათ, თავზე არასდროს გადაგვდიოდა.

**— თქვენი მოწონება რომელმა რგოლმა დაიმსახურა?**

— გარკვეული შეცდომები ყველგან გვქონდა. კარში მღივანი ჩავაყენეთ. დათომ გაგვიმართლა, არაერთხელ იხსნა გუნდი, მაგრამ ზოგჯერ ისიც სცოდავდა. თუმც მოსალოდნელიც იყო. მანამდე სათადარიგოდ ნამყოფმა მთელი წრე სტაბილურად ვერ ჩაატარა.

დაცვას უდიდესი მადლობა ეკუთვნის. ყველამ თავდადებით ითამაშა. ფეზუაშვილისგან ველოდით მეტს, მაგრამ შარშან თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და მის თამაშს ამანაც დააჩნია დაღი.

ნახევარდაცვაზე ნაწილობრივ მოგახსენეთ. მარეხაშვილს და ციცქიშვილს ახალგაზრდა შატაკიშვილი მივახმარეთ. ქიტესა ცენტრში იბრძოდა, მაგრამ მისი მინუსი ისაა, რომ თავით თამაში უჭირს და მის დასახვეწად დიდი ოფლისღვრა მოუწევს.

დაგვრჩა შეტევა. წრე ფაქტობრივად ერთი თავდამსხმელით გავათრიეთ. ალეკო კაიდარაშვილი იყო ჩვენი იმედი. თაყაძემ, ახალკაცმა და ჩიტაიამაც ივარგეს. მათი გამოცდილების გათვალისწინებით, კიდევ კარგად გაგვქონდა გოლები. ერთი მაგდენის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ...

**— მსაჯობაზე რას გვეტყვით?**

— დავიწყოთ იმითი, რომ ჩვენმა არბიტრებმა მსაჯობა იციან. ლაცაბიძე, მალალურაძე, გუნთაძე ყველა ერთბაშად არც მახსენდება. მათ შეუძლიათ უმაღლეს დონეზე განსაჯონ, მაგრამ გარკვეული სიმპათიები ღუპავთ. წესი ერთი უნდა იყოს ყველასთვის. თუ ჩემს ფეხბურთელს დასჯი, მაშინ იგივე დარღვევისთვის მოწინააღმდეგის მოთამაშეც არ უნდა დაინდო.

ერთიცაა, ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშის წინ რომ იტყვის, დღეს მსაჯი დაგვწავს და არ გაგვახარებსო, მაშინ არის საქმე ცუდად. არადა, მწვრთნელებს მსგავსის მოსმენაც ხშირად გვიხდება.

გამოსავალს მსაჯთა ანაზღაურების გაზრდას და მერე გარჯის მკაცრად შეფასებაში ვხედავ. სხვაგვარად საქმე წინ ვერ წაიწევს და ერთხელაც სავალალო შედეგს მივიღებთ.

**— ახალგაზრდები ფუჭდებიანო, ამბობთ. დამწყებ მოთამაშეს მსაჯის აუგი მწვრთნელისგან ესმის, თანაგუნდელი ვეტერანებისგანაც. აბა, ციდან ვერ შეიტყობდნენ. მსაჯთა „გარყვნაში" კლუბებსაც ხომ არ მიუძღვით ბრალი?**

— არ ვიუარებთ. ჩვენი ბრალიც არის, მაგრამ არც ფედერაციის და მსაჯების წვლილია უმნიშვნელო. მეტი სიმკაცრე რომ გამოეჩინათ, ასე არ იქნებოდა.

**— საქართველოში არსებული საფეხბურთო კლუბები ან გაჭირვებულ ყოფაში არიან, ანაც თავის შენახვას ახერხებენ როგორღაც. საშუალო კლუბი ჩვენში არ არსებობს. „დილას" რომელ კატეგორიას განაკუთვნებდით?**

— რომ ვთქვა გვილხინს-მეთქი, დამიჯერებს ვინმე?! გაჭირვებულები ვართ, აბა, რა ჰქვია ჩვენს ყოფას. თამაშის დღეს რომ აიყრები და 200 კილომეტრს იჯაყჯაყებ, ხმელი პური და ყველის ნაჭერი რომ გენატრება, ნორმალურია? სწორად თქვით, ჩვენში საშუალო კლუბი არ არსებობსო, მაგრამ ზოგს იმის საშუალება მაინც გააჩნია გორში თამაშის წინა დღეს ჩამოვიდეს, ნორმალური საჭმელი მიირთვას და სათამაშოდ დასვენებული გამოვიდეს.

ჩვენ უსაშველოს არაფერს ვითხოვთ, იყოს მინიმუმი, ისეთი ანაზღაურება, რომელიც არსებობის საშუალებას მოგვცემს. შეგპირდებიან და მერე გიწევს თვეობით ლოდინი. ცოტა იყოს და ნაღდი. მაშინ არავინ იწუწუნებს.

**— პირველ წრეში „დილას" წარმატებული თამაშებიც ჰქონია და ისეთიც, მწვრთნელებს იმედი რომ გაგიცრუათ. განსაკუთრებით რომელი დაგამახსოვრდათ?**

— „კოლხეთისა" და „ტორპედოს" ძლევას რა დამავიწყებს. ყოველმხრივ ჩვენზე ძლიერებს მოვუგეთ. „ლოკომოტივთან" მიღწეული ყაიმიც სასიხარულო იყო.

ლანჩხუთში წაგებამ გაგვტეხა წელში. ის მატჩი კალენდრის მიხედვით რომ ჩატარებულიყო, აუცილებლად მოვიგებდით და მერე არც წყალტუბოსთან წავაგებდით და არც „მერანს" გავატანდით ქულას.

**— სხვათა შორის, თქვენ ის თამაშები ჩამოთვალეთ, რომლებმაც მერე გარკვეული „ხმაური" გამოიწვია.**

— გარწმუნებთ, ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. „გურიასთან" წასაგები რა გვჭირდა. ვიგებდით კიდეც, მაგრამ სამჯერ გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე და სამჯერვე გაგვიტანეს. „სამგურალთან" და „მერანთან" კი უკვე ის მობილიზება და ენთუზიაზმი გვაკლდა, რითაც ჩემპიონატი დავიწყეთ.

**— მეორე წრეში თუ შეძლებთ მიღწეულის შენარჩუნებას?**

— ახლა ძნელია ამაზე საუბარი. ფეხბურთელები შვებულებაში არიან. გააჩნია, როგორი პირობები გვექნება მოსამზადებლად, ან შევძლებთ კი ფეხბურთელთა შენარჩუნებას?! თუ კიდევ წავიდა ვინმე, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება.

მამუკა ქვანტალიანი

# წამსვლელს პატრონი უნდა

*პირველ წრეში „დილაში" თუ ვინმე გამოირჩა ერთი რევაზ ხაჭაპურიძეც იყო. მას, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, დაცვაშიც უთამაშია და ნახევარდაცვაშიც, მაგრამ წლევანდლამდე არასდროს ყოფილა ლიბერო. მწვრთნელთა გადაწყვეტილებამ შედეგი გამოიღო, რეზო კარგი ლიბერო გამოდგა. „დილას" დაცვაც საიმედოობას დაიკვეხნიდა.*

— ლიბეროობა ადვილიაო, არავინ თქვას, ანაც რომელ ამპლუაში ივარგებ ოფლდაუღვრელი. დაცვაში თამაშის გამოცდილება ადრეც არ მაკლდა, მაგრამ არნახულად გამიჭირდა. ერთი შეხედვით ნაკლებად შრომატევადი სამუშაოა, ფეხბურთელს ჭკუა თუ უჭრის, პრობლემაც არაფერია, მაგრამ პარტნიორების დროზე დაზღვევას, ადგილის სწორად შერჩევას უდიდესი ენერგია მიაქვს. ყოველი თამაშის შემდეგ, გონებრივი თვალსაზრისით, თავს გამოფიტულად ვგრძნობდი.

ადრე მთელ ფლანგს ვაკონტროლებდი. დატვირთვაც მეტი მქონდა და ადვილს ვერ ვტოვებდი. უფრო გამძლეც ვიყავი. ახლა მდგომარეობას შევეგუე და წინაც ძალიან იშვიათად მივდივარ.

**— სეზონი რიხით კი დაიწყეთ, მაგრამ მერე თქვენი თამაში გაუფერულდა. რატომ მოხდა ასე?**

— ფეხბურთელს გარკვეული სტიმული სჭირდება. შეპირდები, უნდა მისცე კიდეც. სეზონს მუდამ უდიდესი ენთუზიაზმით ვიწყებთ, მაგრამ მერე ყველაფერი გბეზრდება კაცს და...

**— „ლოკომოტივთან" ყაიმით დამთავრებული შეხვედრის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელები ერთმანეთს ულოცავდნენ, ფეხბურთელები კი ოხვრით ამბობდნენ, ჩვენთვის რა ხეირიო...**

— ჩემპიონატში ერთ-ერთ ძლიერ გუნდს გასვლაზე ფრედ ვეთამაშეთ. ბევრი გუნდი ამისთვის უმნიშვნელო პრემიალურით მაინც წახალისდებოდა. ჩვენ რა გვქონდა სასიხარულო, ვიცოდით, თეთრსაც ვერ წავიღებდით სახლებში.

**— ხელფასები ხომ გაქვთ?**

— კი გვაქვს. გორში თითქმის ყველა ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობს. შინაურ მღვდელს კი შენდობა არა აქვსო. მინიმუმს ვჯერდებით. თითოეულს ოჯახი ჰყავს შესანახი, ფეხბურთის გარდა სხვა საქმე მე არა მაქვს. ცოლი და ორი შვილი მყავს შესანახი, რომ არ ვთქვა ოჯახის სხვა წევრებზე.

ხელფასს როგორ არ ვიღებ და სწორედ მაგ ფულით და ღვთის წყალობით გაგვაქვს თავი. რას ამბობთ, ეგეც რომ არ იყოს, რა მეფეხბურთეება, სხვა გზას ვეწეოდი.

**— და მაინც, მარტო ენთუზიაზმის ხარჯზე „დილა" ამდენ ქულას ვერ დააგროვებდა.**

— რა თქმა უნდა. ზემოთ ტყუილად როდი ვთქვი, გორში სულ ადგილობრივი ფეხბურთელები ვთამაშობთ-მეთქი. გუნდს რომ გავარდნის საფრთხე დაემუქროს, პირველ რიგში, გორელების სირცხვილი იქნება. მერე ის არის, რომ ჩვენ ბევრისგან განსხვავებული ჟინი გამოგვარჩევს და ბოლოს, ჩვენი გულშემატკივარი, რომელიც ჩვენი მეთორმეტე ფეხბურთელია, თან მერე როგორი...

**— ჟინი და ბრძოლის უნარი მინდორზე არ გაკლია, მაგრამ ხაჭაპურიძეს უხეშ მცველად იცნობენ.**

— უხეში ნამდვილად არ ვარ, ხისტი კი, ბატონო. ამათ შორის კი არის არცთუ მცირე განსხვავება. თავდამსხმელს უბრძოლველად ერთ გოჯსაც არ დავუთმობ. ბრძოლაში ფეხს ისეთ ადგილზე შევყოფ ბევრი თავს შეიკავებდა, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემიძლია. თავდამსხმელს თუ ერთხელ დაეჩაგვრინე, მერე მას ვერ გააჩერებ. სიმულიანტებსაც ვერ ვიტან. ასეთებს მინდორზე უმიზეზოდ გორაობაც შეუძლიათ. ყველაფერს იკადრებენ, რათა მსაჯს სახეირო რამე გამოსტყუონ.

**— მსაჯებზე გამახსენდა, მაინცდამაინც არ უნდა გწყალობდნენ?**

— მაგათიც ვერაფერი გავიგე. ლამის მთელი წრე გაფრთხილების გარეშე ჩავამთავრე. იქ არ მოუციათ, სადაც ნაღდად მეკუთვნოდა, ხოლო ისეთ თამაშებზე გამაფრთხილეს, თანაც მიყოლებით რომ...

**— საუკეთესო პარტნიორი ვინ გყოლია?**

— მე და გიორგი ბალაშვილს გვესმოდა ერთმანეთის უსიტყვოდ. ერთ ფლანგზე გვიწევდა თამაში. ის მცველი იყო, მე ნახევარმცველი. ადგილებსაც შეთანხმებულად ვცვლიდით და არც ერთმანეთის დაზღვევა გვავიწყდებოდა.

**— საქართველოში ფეხბურთელი აღარ დარჩა. ყველა უცხოეთს ემურება. შენ არ გიცდია?**

— ერთხელ მეც ვიყავი წასული. „დინამო" სტავროპოლს სტუკალოვი წვრთნიდა. თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა ჩემი აყვანა. კარგი თვალით მიყურებდა, მაგრამ ბედი არ გინდა კაცს?! ვარჯიშზე ყბა მოვიტეხე და სტავროპოლი კი არა, ექვსი თვე პირს ვერ ვაღებდი.

ახლა სად წავიდე. წამსვლელს პატრონი უნდა, მენეჯერი უნდა, მომზადება უნდა. მე კი ჯერ „პატრონი" არ გამოჩენია.

**— „დილას" მეტის მიღწევა თუ შეეძლო?**

— გაცილებით. პირველ წრეში მესამე ადგილზე უნდა დავფუძნებულიყავით. ვიცი, ბევრს გაეცინება, მაგრამ მერწმუნეთ, სასაცილოს არაფერს ვამბობ. სამი ისეთი თამაში გავუშვით ხელიდან, რომ ცხრის ნაცვლად ქულალა ავიღეთ. ჩვენ არ უნდა წაგვეგო ლანჩხუთში. საცოდაობა იყო იმ თამაშის წაგება. გორიდან „სამგურალი" გავუშვით გამარჯვებული, ხოლო შინ თითქმის მოგებული მატჩი გავათანაბრებინეთ „მერანს". ახლა 22 ქულა გვაქვს, მიუმატეთ ცხრა და მერე გათამაშების ცხრილშიც ჩავიხედოთ. არა, სამეულში მოხვედრა ნაღდად შეგვეძლო.

**— სეზონის ბოლოს რომელ ადგილზე გავა „დილა"?**

— ჯგუფიდან ვერავინ გაგვაგდებს. ქვეყანა უნდა დაიქცეს და არნახული სასწაული მოხდეს. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლები ჩვენ არ ვართ. საამისო არც პირობებია და, ობიექტურად თუ ვიტყვით, წინგაჭრილებს ვერც შევეტოლებით, მაგრამ ათეულში მოხვედრა ჩათვალეთ, გარანტირებული გვაქვს.

მამუკა ქვანტალიანი



რევაზ ხაჭაპურიძემ ზურაბ იონანიძის „ტორპედოს" ერთიც არ გაატანინა

# ლევან კობიაშვილი:
# ფეხბურთი ჩემი საფიქრალი და საკეთებელია

„ლევან კობიაშვილი ზეიმობს... მან საოცრად ლამაზი გოლი გაიტანა ჯარიმიდან. ფრონცეკის სიხარულის მიზეზიც ეს არის."

ეს სიტყვები გაზეთმა „დერ ზონტაგ ინ ფრაიბურგმა" დაურთო საპირველგვერდო სურათს, რომელზეც გოლის გატანით გახარებული ლევან კობიაშვილია აღბეჭდილი.

12 დეკემბერს ლევან კობიაშვილმა თავის კარიერაში პირველი ბუნდესლიგური ბურთი გაიტანა და ამით მესამე ქართველი მობურთალი შეიქნა (ვინც ბუნდესლიგელ მეტოქეს გოლი შეუგდო) კახა ცხადაძისა და ალექსანდრე იაშვილის მერე.

ერთი სიტყვით, მოდიან ბიჭები... იაშვილი ბუნდესლიგის ერთ-ერთი გუნდის ბომბარდირია, კახა კალაძე კიევის „დინამოს" „პალოჩკა-ვირუჩალოჩკა", ზაზა ჯანაშია „ლოკომოტივის" ლიდერი... სხვებიც შეიძლება დაასახელო კაცმა, ამათსავით ნიჭიერნი, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებ სახელმოხვეჭილნი.

თუმცა მათ ხომ ჯერაც მთელი კარიერა წინ აქვთ და ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ. ის გუნდები კი, რომლებშიც ლევან კობიაშვილი და მისი თაობის ხალხი თამაშობს და რომელთაც „საშუალო გუნდებს" ვეძახით, სწორედ იმისთვის არსებობენ, რათა „დიდმა გუნდებმა" შენიშნონ თავისთვის სასურველი მოთამაშეები...

ჰოდა, როცა ლევან კობიაშვილთან ინტერვიუ დავიწყე, პირველად სწორედ „ფრაიბურგის" შესახებ შევეკითხე:

DER SONNTAG in freiburg



ლევან კობიაშვილს გერმანულ ბუნდესლიგაში გატანილ პირველ გოლს მიხაელ ფრონცეკი ულოცავს

**— ლევან, რას ნიშნავს შენთვის „ფრაიბურგი" და პირიქით, რას ნიშნავს ლევან კობიაშვილი „ფრაიბურგისთვის"?**

— „ფრაიბურგი" არის გუნდი, რომელსაც დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს ჩემს კარიერაში. მართალია, იგი გრანდებს არ მიეკუთვნება, მაგრამ ნორმალური გუნდია, მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული არცთუ ცუდ შედეგს უჩვენებს და მიხარია, რომ მეც მიდევს წილი ამაში. „ფრაიბურგი" საშუალედო გუნდად მესახება და მინდა, მისი საშუალებით რომელიმე, უფრო მაღალი კლასის კლუბში მოვხვდე.

**— პირველი წრე როგორ შეფასდა მწვრთნელის, გუნდის მესვეურების მიერ, ოც ქულას გეგმავდით, 22 მოიპოვეთ... პირადად შენს თამაშზე რას იტყოდი?**

— სპონსორებიც, დირექტორატიც, მწვრთნელიც კმაყოფილები დარჩნენ პირველ წრეში ჩვენი გამოსვლით. მართალია, წელს ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ვაპირებდით ბრძოლას, მაგრამ პირველმა წრემ გვიჩვენა, რომ მეტიც შეგვძლებია. პირველი წრე მეათე ადგილზე დავამთავრეთ და უკმაყოფილობის საბაბიც არავისთვის მიგვიცია.

**— მაყურებელი როგორ შეხვდა თავისი გუნდის წარმატებულ თამაშს?**

— „ფრაიბურგი" თითქმის 25 ათასიან სტადიონზე თამაშობს და არ მახსოვს შეხვედრა, ტრიბუნები სავსე არ ყოფილიყოს. ის კი არა, ზოგჯერ ერთი ბილეთის შოვნაც კი მიჭირდა, რათა სტუმრისთვის ჩემი თამაშის ყურების საშუალება მიმეცა. „ფრაიბურგს" ფან-კლუბიც ჰყავს, აქვს თავისი ატრიბუტიკა, მარკეტების ქსელი, სადაც გუნდის ატრიბუტიკით ვაჭრობენ. ერთი სიტყვით, ბევრი გულშემატკივარი გვყავს. ორი-სამი ათასი კაცი ყოველთვის დაგვყვება გასვლით მატჩებზეც. რახან გულშემატკივრები ვახსენე, იმასაც გეტყვით, რომ ფრაიბურგში მრავალი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობს და ყველა მათგანი ჩვენს კლუბს ქომაგობს. ერთი ორჯერ საქართველოს დროშაც გამოფინეს ტრიბუნებზე, რაც, მართალი გითხრა, მეტად მესიამოვნა. ქართველ ქომაგებთან დაკავშირებით ერთსაც გეტყვი, ყოველი მატჩის დროს ერთსა და იმავე ადგილიდან გვესმის-ხოლმე ქართული შეძახილები და ვინაა ეს ხალხი, დღემდე ვერ გაგვიგია. არც თვითონ მოდიან ჩვენამდე, ვერც ჩვენ შევძელით მათი მოძებნა...

**— გერმანულ ფეხბურთში მწვრთნელს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებენ. მისი სიტყვა გუნდში კანონია.**

— მართალია. გერმანულ ფეხბურთში მწვრთნელს დიდი გავლენა და ავტორიტეტი გააჩნია. მაგრამ არც ისეა საქმე, რომ მწვრთნელმა რამე დააშაოს თავის მხრივ და ეპატიოს. თუნდაც ფინკეს მაგალითი ავიღოთ. მახსოვს, ერთხელ ავტობუსში ჩასხდომის ვადად დაგვითქვეს სამის თხუთმეტი წუთი. სამის თოთხმეტი წუთია და ფინკე ჯერაც არ ზის ჩვენთან ერთად. გავიხედეთ და ფინკე კისრისტეხით მორბის ავტობუსისკენ, რათა როგორმე არ დაეგვიანა. ასეა, მიუხედავად მწვრთნელის დიდი უფლებებისა, ნორმების დარღვევა არც მწვრთნელს ეპატიება.

**— დამრღვევებს, როგორც ვიცი, ფულადი ჯარიმებით სჯიან ხოლმე...**

— დარღვევას გააჩნია. გერმანიაში ყველაზე დიდ დარღვევად ვარჯიშზე დაგვიანება ითვლება და როგორც წესი, მეტად მკაცრადაც ისჯება ის ფეხბურთელი, ვინც დროზე არ მივა. სხვა, შედარებით მცირე დარღვევები, ათ-თხუთმეტ მარკიანი ჯარიმებით ისჯება და წრის ბოლოს იმდენი ფულიც გროვდება, მთელ გუნდს ჰყოფნის დასასვენებლად.

**— წელან მწვრთნელზე გკითხე. ფინკეზე კი თითქმის არაფერი გვითქვამს...**

— ჩვეულებრივი, ტაქტიანი კაცია, კარგი მწვრთნელი, თავისი საქმის მცოდნე. იგი არ ჰგავს სხვა გერმანელ მწვრთნელებს. ხარკს ტექნიკურ ფეხბურთს უხდის და აკი „ფრაიბურგიც" იმ იშვიათ გერმანულ გუნდებს მიეკუთვნება, რომლებიც ამგვარ ფეხბურთს თამაშობენ.

**— რა ტაქტიკით თამაშობთ ხოლმე?**

— სამი მცველი, ხუთი ნახევარმცველი, ორი თავდამსხმელი — გერმანიაში ეს განლაგება უფრო მოსწონთ.

**— გერმანული გუნდების სავარჯიშო სისტემებზეც მოგვიყევი. როგორ ემზადები თამაშიდან თამაშამდე?**

— როგორც იცი, გერმანიაში ტურები შაბათ-კვირას იმართება. უმეტესად შაბათს, იშვიათად — კვირაობით. თამაშს დავამთავრებთ თუ არა, იმავე სტადიონზე თხუთმეტ წუთს დავრბივართ (მთელს გერმანიაშია ასეთი წესია) და ამის მერეღა ვსხდებით ავტობუსში. მატჩის მეორე დღეს, კვირა დილით, ათ საათზე გვარბენინებენ-ხოლმე ორმოცი წუთის განმავლობაში. ეს ხელს უწყობს აღდგენით პროცესებს. ორშაბათს მთელ დღეს ვისვენებთ. სამშაბათს გვაქვს ორჯერადი ვარჯიში. ოთხშაბათს ვვარჯიშობთ ერთხელ, ხუთშაბასთაც ასევე ერთხელ. პარასკევს კი, მატჩის წინა დღეს, ზოგჯერ ვვარჯიშობთ, ზოგჯერაც მთელ დღეს გვასვენებენ. ისე ხშირად ხდება, რომ მატჩის დღესაც გვიწევს ვარჯიში.

**— ლევან, სტანდარტული სიტუაციების ერთ-ერთ ძირითად შემსრულებლად ითვლებოდი „დინამოშიც", „ალანიაშიც", ახლა „ფრაიბურგშიც". ამაზე ცალკე ვარჯიშობ?**

— რა თქმა უნდა. ვარჯიშის მერე ვრჩები და ვხვეწ საჯარიმო დარტყმებს. კუთხურებს ორივე მხრიდან მე ვაწვდი.

**— რა ადგილზე გათამაშებს ფინკე?**

— აქედან ჩასულმა ერთი მატჩი ნახევარდაცვაში ვითამაშე, მერე ხუთი შეხვედრა მარცხენა მცველად, წრის ბოლო თამაშებში კი სულ შუაში მომიწია გარჯა და, ეტყობა, ფინკესაც აქ ურჩევნია რომ მათამაშოს.

**— ნახევარდაცვაში რა ადგილას თამაშობ?**

— საყრდენად, თუმცა ჰოფმანის ტრავმის მერე ერთი-ორი შეხვედრა ლიბეროც ვიყავი და არა მგონია, ცუდად გამომსვლოდეს.

**— იაშვილი რომ არ ვახსენოთ, არ ვიქნებით მართლები...**

— იაშვილი „ფრაიბურგის" ბომბარდირია და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. გამოჩნდა კიდეც, რამდენს ნიშნავს ეს კაცი გუნდისთვის. არ თამაშობდა იაშვილი და გუნდიც ვერ იდგა თავის სიმაღლეზე როცა იაშვილი ძლიერად თამაშობს, მთელ გუნდს უადვილდება, ძალიან მოუმატა ამ ბიჭმა, რაც ძალიან მახარებს. ერთი უნდა ვთქვა ჩემთვის, ქართველი რომ გუნდში თამაშობს, ესეც ბევრს ნიშნავს: არც კი ვიცი, როგორ გამიჭირდებოდა, იაშკა რომ „ფრაიბურგში" არ გამოდიოდეს. თვითონაც ამასვე იტყვის, ალბათ.

**— პირველი წრის მანძილზე გერმანული ფეხბურთის გრანდებს შეხვდით. „ბაიერნი", „ბაიერი", „დორტმუნდი" — ეს სახელებიც კი ძალიან ბევრს გვეუბნება. რომელმა მათგანმა დატოვა შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?**

— ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი „ბაიერნია". მეტად მაღალი რანგის ოსტატებითაა ეს გუნდი დაკომპლექტებული და წლეულს არც ერთ სხვა გუნდს გერმანიის ჩემპიონობის არავითარი შანსი არ გააჩნია. ისე „ბაიერი", „კაიზერი", „დორტმუნდი" — მეტად მაღალი დონისანი არიან.

**— ფეხბურთელებიდან ვის გამოჰყოფდი?**

— მე ძირითადად ჩემი ამპულის ფეხბურთელებთან მიხდება მინდორზე ურთიერთობის გარკვევა და ამათგან ეფენბერგსა და იერემისს გამოვყოფდი. მშვენივრად ატარებენ სეზონს „ბაიერნის" შუახაზელები.

**— სხვათა შორის, თბილისში ბევრი ამბობს იერემისზე — ამას გერმანიის ნაკრებში რა უნდაო...**

— არა, არა, ღირსეული მოთამაშეა. ძლიერი, მობილური, ახალგაზრდაც ამასთან ერთად. ბოლო მატჩებში ლიბეროდაც ითამაშა და მათეუსი ამოაგდო ძირითად შემადგენლობიდან. იერიმისის სიძლიერეს პრესის შეფასებებიც ადასტურებს — თითქმის ყოველ ტურში სიმბოლურ გუნდშია და შეფასებებსაც ყოველთვის მაღალს ღებულობს. ამ მხრივაც ერთ-ერთი პირველია ბუნდესლიგაში.

**— მსაჯობაზე რას იტყვი?**

— ბუნდესლიგაში მსაჯობის ძალიან მაღალი დონეა. რა თქმა უნდა, შეცდომები ხდება-ხოლმე, თუნდაც ბალაკოვის მაგალითი ავიღოთ, მაგრამ უმეტესად მსაჯები თავის სიმაღლეზე დგანან.

**— და ბალაკოვმა რა გამოაპარა მსაჯებს?**

— ჩვენს მცველს ჩაარტყა მსაჯისგან მალულად. ვერ დაინახეს კი... არადა, როგორ შეიძლება, მინდორზე სამი მსაჯიდან ვერც ერთმა ვერ დაინახოს დარღვევა. ბოლოს კომისიამ ნახა ვიდეოკამერით დაფიქსირებული ეს მომენტი და მსაჯებს შეცდომაზე მიუთითა.

**— ახლა საქართველოზეც ვთქვათ. შენ ეროვნული ნაკრების წევრი ხარ, სანაკრებო სიტუაციას კი ვერაფრით უწოდებ სახარბიელოს კაცი...**

— თვითონ ვერ ვხვდები, რამ მიგვიყვანა კონფლიქტურ სიტუაციამდე ნაკრებში. ცალ-ცალკე თითქოს ვერავის გაამტყუნებ — ვერც მწვრთნელს, ვერც ფეხბურთელებს, თავისებურად ყველა მართალია. მაგრამ ერთიც სათქმელია, ამ ჭიდაობაში ჩვენი შანსები მცირდება და თუ ასე გაგრძელდა, ვერც სლოვენიას მოვუგებთ მარტში. თუკი შანსებზე ვილაპარაკებთ, ჩვენზე ნაკლები არც ალბანელებს, სლოვენიელებს და ლატვიელებს აქვთ. თუ კონფლიქტებს გადავყევით და ბურთის თამაშს არ მივაქციეთ ყურადღება, ანდორასაც ექნება ჩვენდენი შანსი.

**— ლევან, ქართულ ფეხბურთში მიდის ახალი ხალხი, შენი თაობა მყავს მხედველობაში, რომელიც უკვე ცდილობს თავისი სიტყვის თქმას და პირველი, რაც თქვენ გამოგარჩევთ, ვფიქრობ, რომ პროფესიონალიზმია. რას იტყვი, რას ნიშნავს იყო პროფესიონალი?**

— აკეთო შენი საქმე ყოველგვარი დამალებისა და მწვრთნელის კონტროლის გარეშე. მე ვარ ფეხბურთელი, მაქვს ჩემი საქმე — ფეხბურთი, თუ არ გავაკეთებ მას ისე, როგორც საჭიროა — ვერ გავიზრდები, ფულსაც ნაკლებს ვიშოვი და ბოლოს და ბოლოს, სხვა, ჩემზე პროფესიონალი ამომაგდებს კიდეც შემადგენლობიდან, დაიკავებს გუნდში ჩემს ადგილს — ამაზე თუ არ ფიქრობს ფეხბურთელი, იგი პროფესიონალი ვერ იქნება. გერმანიაში საერთოდ არ არსებობს ცნება — „შეკრება". ყველანი ვვარჯიშობთ მწვრთნელის მიერ დადგენილი სავარჯიშო სქემის მიხედვით და ვარჯიშის მერე ჩვენს თავს ჩვენვე ვხედავთ. ასე რომ, გერმანელი მწვრთნელი საერთოდ არ მაკონტროლებს სად წავალ, როდის დავბრუნდები შინ და რომელ საათზე დავიძინებ. მისთვის მთავარია, ვარჯიშზეც და თამაშზეც მოთხოვნისამებრ დავიხარჯო. დანარჩენი კი ჩემი საფიქრალი და საკეთებელია.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## დინამომ ექს-ტორპედოელები დაიკანონა

გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ წლეულს ქუთაისის „ტორპედო" თბილისელთა ოთხეულმა (ირაკლი ვაშაკიძე, პაატა ჭინჭარაძე, გიორგი ყიფიანი და კონსტანტინე მეტრეველი) მაშინ დატოვა, როდესაც სეზონი გაზურებული იყო. ის, რომ ვაშაკიძე და ჯინჭარაძე სათავისოდ უცვლელ ჩემპიონ „დინამოს" სურდა, მაშინვე ცნობილი იყო, ეგ იყო, მათ თამაშის უფლება არ ჰქონდათ, რადგან სეზონი ქუთაისში დაიწყეს. ჰოდა, ვარჯიშობდნენ ბიჭები ინდივიდუალურად „დინამოს" ბაზაზე, რათა ფორმა არ დაეკარგათ. ისიც ცნობილი იყო, რომ „დინამო" ამ ფეხბურთელებთან მეორე წრისთვის აპირებდა კონტრაქტის დადებას.

ხელშეკრულება კი ამ დღეებში გაფორმდა. ირაკლი ვაშაკიძე და პაატა ჯინჭარაძე „დინამომ" ორ-ორი წლით დაიბევა. ჩემპიონი 25 დეკემბერს, დღის 12 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება და სამეორეწრეო მზადებასაც დაიწყებს. წამსვლელ-დამრჩენთა და ახალ შემატებულთა ვინაობაც მაშინ გაირკვევა.

„დინამოს" კიდევ ერთი ექსტორპედოელის, გიორგი ყიფიანის გადაბირებაც სურდა, მაგრამ მენეჯერმა მას ბერძნული უმაღლესი დივიზიონის სალონიკის „არისი" გაუხერხა და ყიფიანმაც აქ ბურთაობას ელადა არჩია. რაც შეეხება კონსტანტინე მეტრეველს, მისი ახალი კლუბის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

**გიორგი ვაშაკიძე**

## აკი უცხოეთშიო?
### შალვა ხუჯაძე დინამოში ითამაშებს

წინა კვირის ერთ-ერთ „სარბიელში" გერმანულ მეორე ბუნდესლიგაში შალვა ხუჯაძის შესაძლო გადასვლაზე გაუწყეთ. ისიც მოგახსენეთ, რომ ფეხბურთელი პასუხს ერთ კვირაში მიიღებდა, მაგრამ როგორც თავად შალვამ განაცხადა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ისიც საქართველოში გააგრძელებს თამაშს. მისი ახალი გუნდი კი თბილისის „დინამო" იქნება. ალბათ დღეს, ხუჯაძე ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს ჩემპიონთან.

დაბოლოს, ერთსაც გეტყვით — თუ გახსოვთ, როცა შალვა ქუთაისის „ტორპედოს" ტოვებდა, კარიერის გაგრძელებას ფრანგულ „მონპელიეში" აპირებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ტრანსფერი არ შედგა და მანაც უკრაინულ ტერნოპოლის „ნივაში" ამოყო თავი. ფეხბურთელი იმასაც დაგვპირდა, საქართველოში სათამაშოდ აღარ დავბრუნდებიო, თუმცა, ეტყობა, გადაიფიქრა.

**გიორგი ვაშაკიძე**

## ფული იყოს და...

გაიოზ დარსაძემ სიტყვა არ გატეხა. ადრევე ჰქონდა ნათქვამი, სამეორწრეოდ 19 დეკემბერს შევუდგებით მზადებასო და ასეც მოხდა. შაბათს დარსაძის ხელმძღვანელობით „სამგურალმა" პირველი ვარჯიში ჩაატარა, ქუთაისში, ხელოვნურსაფარიან მოედანზე. წყალტუბოელები ახალ წლამდე დარჩენილ დღეებშიც აქ განაგრძობენ წვრთნას. უფრო შორეული გეგმები კი ასეთია: 3 იანვრიდან გუნდი თბილისს ჩავა და იქ გაივლის ორკვირიან შეკრებას, მერე ისევ ქუთაისში ივარჯიშებს, ხოლო 1 თებერვალს ანთალიაში აპირებს გამგზავრებას. თურქეთიდან დაბრუნებულ „სამგურალს" მალევე „ვიტ ჯორჯიასთან" თასის მეოთხედფინალის ორი მატჩის გამართვა მოუწევს. როგორც ვთქვით, ეს მხოლოდ გეგმებია, პრაქტიკულად კი ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა წყალტუბოში გუნდისათვის საჭირო თანხის გამოძებნას. იმედი, რა თქმა უნდა, არის. ფინანსები თუ იქნება, დარსაძე გუნდის სრულფასოვან წვრთნასთან ერთად მის გაძლიერებასაც შესძლებს. „საგურალში" უკვე გამოჩნდა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი: დავით პეტრიაშვილი, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში ნათამაშევი კახა ახალაძე, ფოთიდან წასული დავით ნოზაძე, 3 იანვრიდან კი გუნდს რუსთაველები ვარლამ კილასონია და სანდრო ბურნაძე უნდა შეუერთდნენ. ახლებზე ვთქვით და „სამგურალი" ექვსმა მოთამაშემ დატოვა. მეკარე ზვიად სტურუამ, ლევან ფილიპაშვილმა, თემურ უგულავამ და დავით ჭელიძემ საკუთარი ნებით. ეს ბოლო ორი, შესაძლოა, „მერანში" ვიხილოთ. „სამგურალიდან" თავისუფალი არიან აგრეთვე თემურ ფაიქიძე და მალხაზ თევდორაძე.

**იუზა კაციტაძე**



სარჩიელის არქივიდან

# ბაჯო კატენაჩოს მებრძოლის

მილანის „ინტერს“, ალბათ, მსოფლიოში უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს. ამის თქმა მას შემდეგ უფრო თამამად შეიძლება, რაც მილანელებმა „ბოლონიისგან“ თანამედროვე იტალიური ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი რობერტო ბაჯო შეიძინეს.

სეზონის დაწყებამდე, როცა ეს გარიგება მოხდა, „ინტერის“ და არა მარტო ამ გუნდის გულშემატკივრები საიმოვნებისგან ხელებს იფშვნეტდნენ — წარმოგიდგენიათ, რა ზღაპრული სანახაობა იქნება, ბაჯო და რონალდო ერთად მინდორზეო, ამბობდნენ. მართლებიც იყვნენ, მაგრამ ამ ოცნებას კარგა ხანს ახდენა არ ეწერა — ტრავმები ხან ერთს აწუხებდა, ხან მეორეს, ხანაც ორივეს ერთად. „ინტერიც“, ამის გამო იყო თუ სხვა რამის, გაცემულ ავანსებს ნაღდად ვერ ამართლებდა, გარდა იმისა, რომ ზედმეტად შეუხედავ, დაცვით ფეხბურთს თამაშობდა, სათანადო შედეგსაც ვერ იმკიდა. მილანელებმა უმძიმესი შემოდგომა გადაიტანეს — წააგეს უპრინციპულესი მატჩები „იუვენტუსთან“, „ლაციოსთან“, „ფიორენტინასთან“, „ბარისთან“ და მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში.

ყველაფერმა ამან კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი, ბუნებრივია, ერთობ განარისხა. განარისხა და ჯიჯი სიმონიც უმუშევარი დარჩა. 24-წლიანი სამწვრთნელო პრაქტიკის მქონე კაცი რუმინელმა სპეციალისტმა მირჩეა ლუჩესკუმ შეცვალა.

ამ გადაწყვეტილებას სიმონიმ უსამართლო უწოდა — როგორ, ბაჯო, რონალდო, ვენტოლა და მორიერო დაშავებულნი არიან და მე რა თავში ქვა ვიხალოო.

მორატი შეუვალი იყო. ასე თქვა, სიმონი ზედმეტად ფრთხილი კაცი ყოფილა, რომ არ მოველოდი, ისეთი და ეს ამბავი გუნდსაც დაეტყო, ხომ ხედავთ, ერთი სული აქვს, გოლი არ გაუშვასო.

ერთი სიტყვით, „ინტერს“ სხვა კაცი ჩაუდგა სათავეში.

ჩვენი წერილის გმირი ლუჩესკუ არ გახლავთ. საუბარი უფრო რობერტო ბაჯოზე გვექნება და აი, რატომ.

კვირას „ინტერი“ შინ კონკურენტ „რომას“ ხვდებოდა და პირველი ტაიმი 0:1 წააგო. 55-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონი იური ჯორკაეფი ბაჯომ შეცვალა.

შეეხო თუ არა რობი ბურთს, რონალდო მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კიმენტიმ აჯობა. ბაჯოს მეორე შეხებას ბურთთან ბენუა კოეს საპასუხო გოლი მოჰყვა. მესამედ მან ფაბიო პეტრუცის ისეთი ფინტი გაუკეთა, რომ ეს უკანასკნელი უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს. ათკაციანმა „რომამ“ ბაჯოს (სწორედ რომ ბაჯოს და არა „ინტერს“) ვეღარ გაუძლო და კაპიტულაცია გამოაცხადა. დარჩენილ დროში რობერტომ პასებიც შესაშური არიგა, საჯარიმოდან ბურთი ძელსაც გაარტყა და გოლიც გაიტანა.

„ბაჯომ „რომა“ დაამარცხა“ — ასეთი სათაური ჰქონდა პირველ გვერდზე გამოტანილი ორშაბათს „კორიერე დელო სპორტს“.

— „ინტერში“ ახალი ერა დაიწყო. გუნდი ახლა შეტევაში ბრწყინავს, ადრე კი ამას მხოლოდ დაცვაში ახერხებდა. მეტად ნასიამოვნები ვარ — მორატი კმაყოფილი ჩანდა.

მართლაც, „კატენაჩოს“ ფუძემდებელი (და დღემდე მიმდევარი) გუნდი კვირას დაახლოებით „ბარსელონას“ სტილში თამაშობდა, ოღონდ ძველებურად ძლიერი დაცვით. ეს კი პირველ ყოვლისა სწორედ ბაჯოს დამსახურებაა.

როდის ითამაშებენ მთელ 90 წუთს ბაჯო და რონალდო ერთად? — ეს კითხვა კვლავაც აქტუალურია.

— საშობაო შესვენების შემდეგ რონალდო და ბაჯო მთელ თამაშს ერთად ჩაატარებენ, რა თქმა უნდა, თუ კვლავ ტრავმებმა არ შეუშალათ ხელი. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ახარა საფეხბურთო სამყაროს ლუჩესკუმ.

მაშ ასე, წინ სხვანაირი „ინტერის“ თამაშები გველის, თანამედროვე ფეხბურთის ორი გიგანტის შესრულებით. ახალი წლის პირველ შეხვედრას „ინტერი“ პარმაში გამართავს, შემდეგ კი მას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ელის.

**დავით კოპზირიძე**

# გერმანელები მიდიან

კონფედერაციათა თასზე საფრანგეთს გერმანია შეცვლის — ასეთია ფიფას გუშინდელი გადაწყვეტილება.

ევროპის ჩემპიონმა, გერმანიის ეროვნულმა გუნდმა მიწვევა მას მერე მიიღო, რაც მსოფლიოს ჩემპიონმა, საფრანგეთმა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ფრანგთა უარის მიზეზი გახლდათ ის, რომ კონფედერაციათა თასის გათამაშება, რომელიც მექსიკაში უნდა გაიმართოს, 24 ივლისს დაიწყება, ხოლო ეს ის დრო გახლავთ, ევროპაში საკლუბო შეჯიბრებები, ხოლო თვით საფრანგეთში ეროვნული პირველობა რომ იწყება.

კონფედერაციათა თასისადმი ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ფრანგების ახირება არ გახლავთ. საკმაოდ ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ განაცხადა, რომ თავიანთ ჩემპიონატებში მონაწილე ფეხბურთელებს ამ ტურნირზე არ გაუშვებენ, არადა ფიფას სურს იგი აუცილებლად ჩაატაროს და მომავალში სერიოზულ შეჯიბრებად გარდაქმნას.

გეხსომებათ, თავდაპირველად კონფედერაციათა თასის გათამაშება იანვარში იყო დაგეგმილი, მაგრამ ფრანგთა უარის შემდეგ ფიფამ გამოსავლად მისი შუა ზაფხულზე გადატანა მიიჩნია. როგორც გაირკვა მსოფლიო ფეხბურთის მმართველები შეცდნენ, რამეთუ ფეხბურთელთა ისედაც დატვირთულ კალენდარს დამატებითი შეჯიბრების ატანა ძალიან უჭირს.

საბოლოოდ ფიფამ საფრანგეთი გერმანიით შეცვალა. რამდენად უშველის ეს ცვლილება კონფედერაციათა თასს, მომავალმა უნდა გვაჩვენოს, დღეისათვის კი **B** ჯგუფში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონებს უნდა ეთამაშათ, მათ მაგივრად, ბრაზილიასთან, აშშ-სთან და ახალ ზელანდიასთან ერთად გერმანიის ნაკრები იასპარეზებს.

**A** ჯგუფი უცვლელად დარჩა: მექსიკა, ბოლივია, ეგვიპტე და საუდის არაბეთი.

## საბერძნეთი

მე-14 ტური. ვერია — არისი 0:1, ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 0:2, ქსანტი — პანიონისი 1:0, ეთნიკოსი (პ) — აეკი 1:4, ოფი — იონიკოსი 2:1, პრუდეფტიკი — ეთნიკოსი (ა) 3:0, პანილიაკოსი — პაოკი 1:2, პანათინაიკოსი — აპოლონი 5:1, პანელეფსინიაკოსი — კავალა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 11 | 1 | 2 | 37:11 | 34 |
| აეკი | 14 | 10 | 2 | 2 | 32:11 | 32 |
| პაოკი | 14 | 9 | 2 | 3 | 25:16 | 29 |
| ქსანტი | 14 | 8 | 4 | 2 | 16:9 | 28 |
| პანათინაიკოსი | 14 | 9 | 1 | 4 | 29:18 | 28 |
| არისი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:18 | 24 |
| ოფი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:16 | 23 |
| იონიკოსი | 14 | 6 | 2 | 6 | 24:18 | 20 |
| ეთნიკოსი (ა) | 14 | 6 | 2 | 6 | 21:22 | 20 |
| ირაკლისი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | 19 |
| პანიონისი | 14 | 5 | 2 | 7 | 27:20 | 17 |
| კავალა | 14 | 4 | 5 | 5 | 24:31 | 17 |
| პანილიაკოსი | 14 | 5 | 1 | 8 | 18:23 | 16 |
| პანელეფსინ. | 14 | 2 | 7 | 5 | 10:17 | 13 |
| პრუდეფტიკი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:21 | 13 |
| აპოლონი | 14 | 1 | 4 | 9 | 15:40 | 7 |
| ვერია | 14 | 1 | 4 | 9 | 5:21 | 7 |
| ეთნიკოსი (პ) | 14 | 0 | 4 | 10 | 4:33 | 4 |

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანური „ტენერიფე“ უმწვრთნელოდ დარჩა. ორშაბათს კლუბის უფროსობამ დაკავებული თანამდებობიდან ხუან მანუელ ლილო გაათავისუფლა. ამის მიზეზი გუნდის წარუმატებელი გამოსვლა ყოფილა. „ტენერიფე“, რომელმაც პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში ვერაფერი გააწყო ასევე უსუსურ „ესტრემადურასთან“ და მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლო (1:1), ამჟამად 20-გუნდიან ჩემპიონატში თავისთვის შეუფერებელ, მე-19 ადგილზე იმყოფება. სწორედ ამიტომ „ესტრემადურასთან“ შეხვედრის დასრულებისთანავე კლუბის ხელმძღვანელობა შეიკრიბა და აღნიშნული გადაწყვეტილებაც მიიღო. ლილო პრიმერა დივიზიონში მომუშავე მწვრთნელთაგან ყველაზე ახალგაზრდა, 33 წლის არის და „ტენერიფეს“ ამა წლის თებერვალში ჩაუდგა სათავეში. გუნდის პრესმდივნის ცნობით, ლილოს სავარაუდო შემცვლელები წარსულში უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ სახელგანთქმული დამრიგებელი ჯონ ტოშაკი და არგენტინელი ოსვალდო არდილესი არიან. ეს უკანასკნელი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ (1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონია) ჯერ თავის ყოფილ კლუბს, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურს“ წვრთნიდა, შემდეგ კი იაპონურ „შიმიზუ ს-პულსს“.

**ინგლისის პრემიერლიგის კლუბის დედაქალაქური „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ თავკაცმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, რომ თავის ფეხბურთელებს საშობაო და საახალწლო ღრეობებში მონაწილეობის უფლებას არ მისცემს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ორი ლონდონელი მოთამაშე ნილ რადოკი და ტრევორ სინკლერი გვარიანად გამოთვრნენ, მერე ნასვამ მდგომარეობაში მანქანით გასეირნება გადაწყვიტეს და საპირისპირო მიმართულებით მომავალ მანქანას დაეჯახნენ, რომელსაც ქალი მართავდა. შედეგად ორივე ფეხბურთელის საკითხს უახლოეს მომავალში ქალაქ რომფორდის სასამართლო განიხილავს. „ყველაფერს აქვს საზღვარი. დროა, გადამჭრელი ზომები მივიღოთ და ასეც მოვიქეცი, ამიერიდან არავითარი ზეიმი აღარ იქნება, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ მე აქ ვიმყოფები“ — აღნიშნა საგაზეთო ინტერვიუში აბობოქრებულმა რედნაპმა.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება ქალთა შორის. ამასთან დაკავშირებით და საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად ნოემბერში ფიფაში საგანგებო შეხვედრა შედგა. როგორც მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანოს ყოველთვიური გამოცემის დეკემბრის ნომერი იუწყება, ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის და შეხვედრაზე მყოფი სხვა ჩინოვნიკების გადაწყვეტილებით, ამ ტურნირს მხოლოდ ქალ მსაჯთა ბრიგადები მოემსახურებიან. 1999 წლის მსოფლიოს პირველობაში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

**რუმინეთის ნაკრებისა და „ვალენსიის“ თავდამსხმელი ადრიან ილიე სულ ცოტა ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთს ვეღარ ითამაშებს. ესპანური კლუბის უფროსობის ცნობით, მას კოჭის სერიოზული ტრავმა აწუხებს. ილიე, ვისაც გულშემატკივრებმა ზედმეტსახელად „კობრა“ შეარქვეს, ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ესპანიოლთან“ 1:2 წაგებული მატჩის მე-18 წუთზე დაშავდა, მას შემდეგ, რაც მეტოქის მცველი მაურისიო პოჩეტინოს უხერხულად შეეჯახა. რუმინელ ფორვარდს პრიმერა დივიზიონის მომავალი სამი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს, ამიტომაც მან გადაწყვიტა, სამშობლოში გაემგზავროს და საშობაო დღესასწაულს ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდეს.**

პანამელი ფორვარდის ხულიო დელი ვალდესის ფოტოებმა ორშაბათს თითქმის ყველა ესპანური გაზეთის პირველი გვერდი დაიკავა. არამარტო იმიტომ, რომ მან მადრიდის „რეალს“ გოლი გაუტანა და „ოვიედოს“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა. მთავარია, როგორ გამოხატა მან გოლის გატანით გამოწვეული სიხარული — დელი ვალდესი მიიჭრა თავისიანთა სათადარიგო სკამთან, მასაჟისტს მობილური ტელეფონი გამოართვა, შემდეგ მინდორზე დაბრუნდა და მეტად საქმიანი სახით ვილაცასთან სატელეფონო საუბარი გააჩაღა. „თამაშის წინ პაკოს (მასაჟისტი) შევუთანხმდი, რომ თუ ბურთის შეგდებას მოვახერხებდი, ტელეფონი უნდა მოეცა. ასეც მოხდა. დარეკვით არსად დამირეკავს და არც არავისთან მილაპარაკია, ისე კი გამიელვა თავში, ჩემებთან ხომ არ დავრეკო პანამაში-მეთქი. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ აღვნიშნო მორიგი გოლი“. — განაცხადა მომღიმარმა დელი ვალდესმა, რომელიც უკვე იქცა „ოვიედოს“ ქომაგთა კერპად. პანამელი თავდამსხმელი ესპანეთში 1997 წელს გადავიდა „პარი სენ ჟერმენიდან“ და გასულ სეზონში „ოვიედოს“ საუკეთესო მეგოლე გახდა.

**პორტუგალიურმა „ვიტორია გიმარაეშმა“ თანამდებობიდან გაათავისუფლა იუგოსლაველი მწვრთნელი ზორან ფილიპოვიჩი. ბოლო ტურში სუსტ „კამპომაიორენსესთან“ 0:1 წაგებამ კლუბის ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა აუვსო. 45 წლის ფილიპოვიჩმა (ამ სეზონამდე იუგოსლავიის ნაკრების ასისტენტი-მწვრთნელი გახლდათ) „გიმარაეში“ გასულ ზაფხულში ჩაიბარა. ფილიპოვიჩს ადრეც უმუშავია პორტუგალიაში, წვრთნიდა „სალგეიროშს“, „ბაირა მარს“ და „ბოავიშტას“.**

გერმანულმა „ნიურნბერგმა“ მწვრთნელად 58 წლის ფრიდელ რაუში დანიშნა. ვილი რაიმანის შემცვლელმა რაუშმა ახალ კლუბთან სეზონის ბოლომდე დადო ხელშეკრულება. „ნიურნბერგი“, რომელიც ბუნდესლიგას ამ სეზონში დაუბრუნდა, ბოლო ტურში „ჰამბურგთან“ დამარცხდა 0:2. შეგახსენებთ, რომ რაუში ნოემბერში დაითხოვა ბუნდესლიგის აუტსაიდერმა, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“. „ახალ საქმიანობას ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ. მწამს, რომ გუნდს უძლიერესთა შორის დავამკვიდრებინებ ადგილს. ვატყობ, რომ მას პერსპექტივა აქვს“ — განაცხადა რაუშმა. როგორც ამბობენ, რაუშის პირველი შენაძენი იქნება გერმანიის ნაკრების ცნობილი მეკარე ანდრეას კეპკე, რომელიც ფრანგულ „მარსელში“ ყოფნას ვეღარ ეგუება.

**ბრაზილიის ჩემპიონატი. გაიმართა მეორე ფინალური მატჩი. კორინთიანსი — კრუზეირო 1:1. ჩემპიონს გამოავლენს მესამე შეხვედრა, რომელიც „კორინთიანსის“ სტადიონზე გაიმართება და ფრის შემთხვევაშიც ჩემპიონად მასპინძელი გამოცხადდება.**

კვიპროსის ჩემპიონატი. მე-13 ტური. ანორთოსისი — ნეა სალამინა 5:3; ომონია — ალკი 3:0; აეკი — აპოელი 3:1; აპოლონი — ოლიმპიაკოსი 1:0; დოქსა — აელი 0:1; ენოსისი — არისი 6:2; ევაგორასი — ეთნიკოსი 1:2. 34 ქულით ლიდერობს „ანორთოსისი“, მას 4 ქულით ჩამორჩება „ომონია“.


იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)
საერთო ფართობი 165 კვ.მ 3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი
წყალი, გაზი
ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 38-70-44

*„ოქროს ბურთის“ 43-ე ლაურეატის ზინედინ ზიდანის „ბორდოში“ მისვლის დღიდან ერთი მეგობარი გაუჩნდა, რომელთანაც, ალბათ, ვერასოდეს დაშორდება — კრისტოფ დიუგარი. ისინი ისე დაახლოვდნენ, ურთმანეთოდ ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ, ბორდოში არის ერთი კაფე-ბარი, რომელიც დუგამ და ზიზუმ საზიაროდ იყიდეს და კრისტოფის ძმას აჩუქეს. სწორედ აქ იკრიბებიან მათი ყველაზე თავგადაკლული გულშემატკივრები „მარსელის“, „იუვენტუსის“ და საფრანგეთის ნაკრების მატჩების სანახავად. დიუგარის „იუვეში“ შესაძლო გადასვლის საქმეც ზიდანის წამოწყებულიაო — ამბობენ საფრანგეთში.*

*ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ძმაკაცის აზრი ზინედინ ზიდანზე:*



სარბიელის არქივიდან

კრისტოფ დიუგარი, ზინედინ და ვერონიკ ზიდანები მსოფლიოს თასს შეჰხარიან

# არც კი იცის, რაოდენ ძლიერია

ძალიან მოხარული ვარ, რომ „ოქროს ბურთი“ სრულიად დამსახურებულად ერგო ზინედინ ზიდანს და არა მიატოვიჩს ან რობერტო კარლოსს, რომლებსაც ამ პრიზის მიღება „შეეძლოთ“. ზიზუ არა მარტო საფეხბურთო ტალანტით გამოირჩევა, იგი ადამიანურია, უბრალო, ზრდილი და განათლებული. თუ მის შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, სავსებით ლოგიკურია, რომ მან დიდი პროგრესი განიცადა. „იუვენტუსში“ ის ერთდართი ფეხბურთელია, რომლის საყურებლად ყოველთვის სიამოვნებით ვივლი სტადიონზე. კვირაში ორ-სამჯერ ვურეკავ ხოლმე და ყველაფერზე ვებაასები, გარდა ფეხბურთისა. ბევრი საერთო გვაქვს — სურვილები, გატაცებები და ათასი სხვა რამ. არასოდეს არ ვსაუბრობ ჩვენს კარიერაზე, რადგან ეს უფრო პირადულია. ზიზუს ხშირად ჩვევია ამ ფრაზის გამეორება: „გააკეთე ისე, როგორც გული გეუბნება“. იგი ძალიან მორიდებული და მორცხვია. მისი უამრავი დადებითი თვისებიდან ყველაზე მეტად გულკეთილობა მოგხიბლავთ. იგი თავად მოიკლებს და სხვას მისცემს, თუ დაინახა, რომ საჭიროა.

**ძახა თალაძგაძე**



REUTERS პარიზიდან

გუშინ პარიზში ზიდანის სიხარული დამ ლილამ (მარცხნივ) და მეუღლემ ვერონიკმა გაიზიარეს

**ზინედინ ზიდანი**

დაიბადა 1972 წლის 23 ივნისს საფრანგეთის ქალაქ მარსელში

სიმაღლე: 185

წონა: 80 კგ

კლუბები: კანი (საფრანგეთი, 1989-94), ბორდო (საფრანგეთი, 1994-96), იუვენტუსი (იტალია, 1996-)

ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი 1998 წელს; საკონტინენტთაშორისო თასი 1996 წელს; ევროპის სუპერთასი 1996 წელს; იტალიის ჩემპიონი 1997 და 1998 წლებში.

საფრანგეთის ნაკრებში 43 მატჩი და 11 გოლი.

# ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა

## განაცხადა ოქროს ბურთის გადაცემის ცერემონიალზე ზინედინ ზიდანმა

**— მეოთხე ფრანგი ხართ (კოპას, პლატინის და პაპენის შემდეგ), ვინც „ოქროს ბურთი“ მოიპოვა. ვის უძღვნით მას?**

— ნათესავებს — მამას, დედას, მთელ ოჯახს. ისინი გვერდში მიდგანან და ჩემს ყველა წარმატებაში მიუძღვით წვლილი.

**— რას გრძნობთ ახლა, როცა საუკეთესოდ გაღიარეს?**

— უზომოდ გახარებული ვარ, თუმცა არ მავიწყდება, რომ ეს ტიტული ყველა თანაგუნდელთან უნდა „გავინაწილო“. ხანდახან ვერც ვაცნობიერებ, რამხელა წარმატებას მივაღწიე ეს-ესაა, ძმას ვეხუმრე: „წარმოგიდგენია, მსოფლიოს ნაკრებში ბატისტუტასა და ვეას გვერდით ვითამაშე?!“

**— მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ არ დაივიწყეთ?**

— არა, ჩემი 6 წლის ენცო ყოველდღე მთხოვს, ფინალი ახლიდან ვითამაშოთო. ის მუდამ ზიდანია, მე კი — რონალდო. ჰოდა, სულ ვაგებ.

**— რონალდომ კი საშობაო საჩუქრად „ინტერის“ მიერ თქვენი ყიდვა ისურვა...**

— მასთან ერთად თამაში საუცხოო იქნება. რონალდოს ადრე არ ვიცნობდი, პირველად ამასწინათ იტალია-მსოფლიოს თამაშისას ველაპარაკე. გარდა იმისა, რომ ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, კარგი ადამიანიც ყოფილა.

**— „ფრანს ფუტბოლმა“ გამოააშკარავა, რომ „იუვესთან“ კონტრაქტი აღარ გააგრძელეთ. სად აპირებთ წასვლას, „ინტერში“ თუ „ბარსელონაში“?**

— ჯერჯერობით არაფერს ვიტყვი, თუმცა რალაც იდეა უკვე მაქვს...

**— ამდენი ტიტულის მერე კიდევ ოცნებობთ რამეზე?**

— საბედნიეროდ, კი. ასე რომ არ იყოს, თამაშს დღესვე დავანებებდი თავს. განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა. ორი უიღბლო ფინალის შემდეგ წლეულს რევანშის წყურვილი მკლავს.

**— ძნელია, ახალგაზრდობისთვის მისაბაძი მაგალითი იყოთ?**

— არ ვიცი, თუმცა ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც სწორად მიმაჩნია. მეამაყება, რომ ალჟირელი ბერბერის შვილი ვარ. ჩემზე ძალიან იმოქმედა მაროკოელთა ყვირილმა „ზიზუ, ზიზუ“ მაროკო-საფრანგეთის თამაშისას კასაბლანკაში. მიხარია, რომ პატივს მცემენ, ეს კი მამაჩემის დამსახურებაცაა — სულ მიმეორებდა: „სხვებს პატივისცემით მოეპყარი და ისინიც სამაგიეროს გადაგიხდიან.“

**— ბრაზილიასთან ორი გოლი რომ არ გაგეტანათ, ამხელა აღიარებას მოიპოვებდით?**

— ძნელი კითხვაა. სეზონი მშვენივრად დავიწყე და „იუვენტუსთან“ ერთად სკუდეტო მოვიგე, მსოფლიოს პირველობაც კარგად ჩავატარე. ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, ფინალში გატანილი გოლები რომ არა, ზიდანისთვის ეს ჩემპიონატი ჩაგდებულად ჩაითვლებოდაო. სამუშაო კეთილსინდისიერად შევასრულე, ისევე, როგორც საფრანგეთის ნაკრების დანარჩენმა წევრებმა. ბოლო მატჩში განსაკუთრებული ლიდერი იყო საჭირო და თანაგუნდელების დახმარებით ასეთად ვიქეცი. ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თარგმნა
**ბაბი ბურულმა**

# ზიზუ შენ არ ხარ საფრანგეთი

60-იან წლებში ჩრდილოეთ აფრიკიდან საფრანგეთს ემიგრანტთა ნაკადი მიაწყდა. ძნელია, მაგრამ ლოგიკური: ინგლისი ინდუსებითაა სავსე, ჰოლანდია სურინამელებით, საფრანგეთი არაბებითა და პოლინეზიელებით... ყველაფერი კოლონიალიზმის ბრალია. ყოფილი დამპყრობლის ენასა და კულტურას ნაჩვევი ყოფილი დაპყრობილი უკეთესი ცხოვრების ძიებაში მასთან გარბის.

მერე უცხოეთს შეფარებულნი სამუშაოს ვერ შოულობენ და ქუჩაში რჩებიან, ქუჩას კი თავის კანონები აქვს. ვინ არის ნარკომანი? ვინ არის მძარცველი? ვინ უშლის კეთილსინდისიერ მოქალაქეს ლაღად სუნთქვაში ხელს?

გადის წლები. ემიგრანტთა მეორე თაობა მკვიდრ მოსახლეობასთან უფრო მეტადაა შერწყმული, მაგრამ მაინც უცხოტომელად ითვლება, აღიზიანებს კეთილსინდისიერ მოქალაქეს, მაინც ნარკომანია და მძარცველი.

60-იან წლებში საფრანგეთში გადასახლებულ ათეულობით ათას ადამიანს შორის ალჟირელი ზიდანებიც იყვნენ. ისინი მარსელში დასახლდნენ, „ძველ პორტში“ წიეს სხვათა კარზე გაჩერებული გადამთიელების ჭაპანი. იქ, „ძველ პორტში“ ქვეყანას მეორე თაობის ემიგრანტი, ზინედინ ზიდანი მოევლინა. ზინედინი ნარკომანი არ გამოსულა, ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

არაბია, ამბობდნენ ქალაქის გარეუბან ლა კასტელანში მცხოვრებ პატარა ალჟირელზე კეთილსინდისიერი ფრანგი მოქალაქეები. მაგრამ ეს ტყუილი იყო, ზიდანი არაბი არ ყოფილა, ის ბერბერი გახლდათ, გულზე ჯვარი ეკიდა.

„თავისუფალი ხალხი“, ასე ითარგმნება არაბულიდან სიტყვა ბერბერი. ბერბერი აფრიკის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომთა სახელია. სწორედ ბერბერებს შეესიენ არაბები მეშვიდე საუკუნეში.

ბერბერები ხმელთაშუაზღვისპირელთა მოდგმისანი, ანთროპოლოგიურად ლიბიელები გახლავან. ძირითადად შავგვრემანი ხალხია თუმცა კანტიკუნტად ცისფერთვალება — ქერა ბერბერებიც გვხვდებიან. ბერბერებს ოდესღაც დამწერლობაც ჰქონიათ. ისინი დღეს ხუთნახევარი მილიონი არიან და უპირატესად მაროკოში, ალჟირსა და ტუნისში ცხოვრობენ. ბევრნი სახლობენ საჰარის ოაზისებში.

ზინედინ ზიდანი მარსელში ცხოვრობდა, ბურთს დასდევდა და „ოლიმპიკში“ თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ შენიშნეს. სამაგიეროდ მეზობლად, კანში არ გამოეპარათ ყმაწვილის ნიჭი. მერე კი იყო „ბორდო“. ზიდანი თანდათან ყურადღებას იპყრობდა, ვარსკვლავად ყალიბდებოდა.

1994 წლის აგვისტოში მეორე თაობის ემიგრანტმა პირველად მოირგო ფრანგთა ეროვნული გუნდის მაისური. ეს ჩეხეთის ნაკრებთან თამაშის დროს მოხდა, როდესაც იგი მოედანზე შემცვლელად შეიყვანეს და ორი თავური გოლი შეაგდო.

1996 წელს „ბორდო“ უეფას თასის ფინალში გავიდა და ზიდანი მსოფლიომ შენიშნა, მაგრამ რაც მთავარია იგი შენიშნა იტალიურმა „იუვენტუსმა“. ბერბერთა შთამომავალმა ტურინში ახალი ცხოვრება დაიწყო.

ფულმა დაიპყრო საფეხბურთო ევროპა. გამდიდრებული ინგლისური კლუბები ყველას ყიდულობდნენ, დიდსა და პატარას, ნიჭიერსა და საშუალოს. ჰქონდათ ფული და არ იშურებდნენ. ცხადია ალბიონელთა ყურადღება ზიდანმაც მიიზიდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეუთვალა ჩემთან გადმოდი, ისედაც დიდი გუნდი ყოვლისმძლე გავხადოთ და შენც იმდენს გადაგიხდი, მთელი ცხოვრება თითის თითზე დაკვრა არ დაგჭირდებაო, მაგრამ ზიდანმა უარი შეუთვალა. მამას უსწავლებია ფული მთავარი არ არის, მთავარი გულიაო.

„ფული „იუვენტუსშიც“ არ მაკლია, თან ტურინში თავს ჩინებულად ვგრძნობ“ — უპასუხა ვარსკვლავმა.

და ბერბერი ფრანგთა გმირი გახდა. 1998 წლის 12 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მისმა ორმა თავურმა კეთილსინდისიერ მოქალაქეთა ქვეყანა პლანეტის მძლეველად აქცია.

„ზიზუ, ეროვნული გუნდი მარტო შენ არა ხარ, მაგრამ შენ ხარ ის, ვინც საფრანგეთს მოაგებინებს“ — უთქვამს ზიდანისთვის მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელს ემე ჟაკეს.

ვიღაც მძარცველია, ვიღაც ნარკომანი, ვიღაც ლაღ სუნთქვაში უშლის ხალხს ხელს, ზინედინ ზიდანს კი ეუბნებიან ჩვენი ეროვნული სიამაყე. მისი სახე და ღირსება მარტო შენ არა ხარ, შენ მხოლოდ და მხოლოდ მთავარი ბრძანდებიო.

„უამრავი ქალის წერილს ვიღებ, სიყვარულში მიტყდებიან, მაგრამ მე ხომ ცოლიანი ვარ“ — ამბობს ალჟირელ ემიგრანტთა შვილი და როდესაც გრძნობს რომ გადამეტებული ყურადღება მიიპყრო, გაპარვას ცდილობს.

უთქვამთ დღევანდელ მსოფლიოს ვარსკვლავები აღარ სჭირდება, ვარსკვლაობა შემოქმედებას ნიშნავს, ჩვენი კომერციული დრო კი ფანტაზიას ახშობსო. ზიდანი ამ თეორიას საეჭვოს ხდის და ეს რომ ასეა, დედამიწა 60-იანი წლების აფრიკულ ემიგრაციას უნდა უმადლოდეს.

**მიხეილ სურგულაძე**



სარბიელის არქივიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში დისკვალიფიკაციამოხდილი ზიდანი იტალიის ნაკრების მცველების, მათ შორის ჯუზეპე ბერგომის (2) ყურადღების საგანი გახლდათ

ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1997

რონალდო

# შეძლებ?

კონსტანტინე გოგიშვილი

მძიმეა გვირგვინი მეფეთა... განსაკუთრებით ფეხბურთის მეფის გვირგვინია მძიმე. აქამდე ორად-ორმა კაცმა შეძლო და იტვირთა — ჯერ პელემ, მერე მარადონამ... დიდი დიდი იყო, მაგრამ ვერ შეძლო... გარინჩამ ვერ შეძლო... კრუიფმა, ბეკენბაუერმა, პლატინმაც ვერ შეძლეს. დიდები კი იყვნენ, მაგრამ ვერ შეძლეს.

ასეა, მძიმე ფეხბურთის მეფის გვირგვინი. ჰოდა, აქედან გამომდინარე, გეკითხები შენ, რიოს ერთ-ერთი საშუალო ოჯახში დაბადებულ ბიჭს, შეძლებ?

გულახდილად, ალალად უნდა გითხრა — ვფიქრობ, გაგიჭირდება. როგორლაც იოლად, უაღვილესად მიაღწიე ყველაფერს... ფეხბურთმა კი იოლად აღარაფერი იცის. შენს მსგავს კარიერებზე ასე იტყვიან-ხოლმე — როგორც სიზმარში, ისეო... ჰოდა, სცალია თანამედროვე ფეხბურთს სიზმრებისათვის?

ისე, მართლა სიზმარივით ჩქარა კი ჩაიარა ყველაფერმა. ჯერ იყო და „კრუზეიროში" გამოჩნდი. გამოჩნდი და იმთავითვე ნათელი გახდა, დიდხანს არავინ გაგაჩერებდა ბრაზილიაში. ეს კანონზომიერი ტრანსფერი „ეინდჰოვენში" მოსალოდნელიც იყო. ჯერ კიდევ ლეონიდასის (ბაბუად რომ გეკუთვნის) დროიდან ისწავლეს ევროპელმა სელექციონერებმა ბრაზილიაში სუნსული და ნიჭიერ ფეხბურთელთა გადაბირება. „ეინდჰოვენში" ორი სეზონი დაჰყავი და მერე „ბარსელონამაც" გამოიღო ხელი. „ბარსელონა" კი ის ჩიტია, რაც სურს, ადვილად რომ აისრულებს-ხოლმე და როცა ხელს გამოიღებს, აუცილებლად მიაღწევს თავისას. „ბარსელონაშიც" უკეთესად რომ არ შეიძლება, იმგვარად წაგივიდა საქმე, მაგრამ მაინც გამოისყიდე თავი (კარგა ბრძოლის შემდეგ) და „ინტერში" გადაბარგდი.

ეს კი არ იყო ის, რაც „ბარსელონას" სურდა... თუმცა ფულით ხომ „ბარსელონას" ყველა სურვილს იყიდი ერთბაშად. მით უმეტეს, როცა ყიდვას მასიმო მორატი მოინდომებს. კაცი, ვისაც გაცილებით მეტი ფული აქვს, ვიდრე რონალდოს თავზე თმა.

„ინტერში" გადასვლასაც აქვს თავისი ლოგიკა. ბრაზილია — „ეინდჰოვენი" — „ბარსელონა" ის გზაა, რომელიც უკვე გაეარა მეორე ბრაზილიელს, სულით და ფეხბურთით მალანდროს— რომარიო ფარიასს და თუკი მარტო რომარიოს ნათელ მინდორს გადატკეპნიდი, რაღა რონალდო იქნებოდი მაშინ. ამიტომაც მესმის შენი, როცა „ბარსელონაში" რომარიოზე მეტი გოლების გამტანმა, კატალონიელთა კერპად ქცეულმა „ნერო აზურის" მაისური მოირგე.

იტალია კი სხვა აღმოჩნდა. ისეთივე სხვანაირი, როგორც იტალიური ფეხბურთი საერთოდ. აქ სეზონში 54 ბურთის გატანას ვერავინ შეძლებს. თავის კარს დაჰკანკალებენ კატენაჩოზე გაზრდილი იტალიელები, მერეღა იყურებიან მეტოქის კარისკენ და იმიტომაც. ჰოდა, შენც გაგიჭირდა. ერთ სეზონში ოცდაათამდე ბურთის გამტანი განა ბევრი დადის სერია A-ში, მაგრამ მაინც დაგიწუნეს იტალიელმა კრიტიკოსებმა გარჯა, შენც იცი, რატომ — რონალდო იყავი, „ფენომენი", „ვარსკვლავბიჭუნა", „გენიოსი" და ასეთებს გაცილებით მეტს თხოვენ, ვიდრე სეზონში ოცდაათამდე გოლია.

ეს კლუბზე. ახლა ნაკრებზეც უნდა გითხრა. მით უმეტეს ბრაზილიის ნაკრებში გამოსვლისას გახდი მსოფლიო ჩემპიონი და მოიპოვე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი.

მსოფლიო ჩემპიონობა დიდი რამეა. უდიდესიც კი ფეხბურთში. ამაზე არავინ კამათობს. საკამათო ისაა, გეკუთვნოდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონობა. შენ ხომ ისე გახდი ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული. მინდორზე წუთითაც არ შესულხარ, ბურთზე ფეხიც არ დაგიკარებია. შეიძლება ვინმემ მხარი დაგიჭიროს და ეს თქვას, რახან გუნდში აიყვანა პარეირამ, ეკუთვნოდაო.

მე კი ჩემებურად გეტყვი — ეგრე არ არის ძმაო. გეკუთვნოდა კარგია, უნდა გერგებოდეს.

მერე საფრანგეთის ჩემპიონატი? რა იმედები არ დაამყარეს, რა არ გიძლვნეს, როგორ სჯეროდათ შენი. იქ კი ბევრიც ვერაფერი — ოთხი გოლი გაიტანე და ფინალი ჩააგდე. ეს კი ცოტაა. რონალდოსთვის, გენიოსისთვის, ვარსკვლავბიჭუნისთვის, ფენომენისთვისაა ცოტა, თორემ დარწმუნებული ვარ, ანჯელო დი ლივიომ რომ რომელიმე ჩემპიონატზე მსგავსი რამე გააზერხოს, თავი ფეხბურთის მეფე ეგონება.

წერილს თვალი გადავავლე და როგორღაც კრიტიკასავით გამომდის. არადა, პატივს გცემ, მომწონს შენი ფეხბურთი, შენი ვირაჟები, ადგილიდან რომ მოწყდები და ფინტებს და ცრუ მოძრაობებს იმგვარად დახვლანჭავ, ბარე ორს აებნევა თავგზა. ანდა შენ რომ შენებურად მარცხენას გადაატარებ ხოლმე ბურთს აქეთ ან იქეთ, სხვა შეძლებს? ვერა და მაინც უკეთესი მინდა, უკეთესს ველი შენგან. ეგენი დაძველდა და იმიტომ.

ხალხიც ახალს, სხვანაირს მოელის. გოლები ბატისტუტასაც გააქვს, ფინტები და ბურთზე ფეხის გადატარ-გადმოტარება დენილსონსაც ეხერხება, მაგრამ იმათზე არავის უთქვამს გენიოსიაო.

ბევრი რამე უნდა დაამტკიცო. უამრავი ეპითეტი უნდა გაამართლო და ბოლოსდაბოლოს იმ კითხვაზეც უნდა მიპასუხო, დასაწყისში რომ დაგისვი — შეძლებ?

შენი ბედნიერებაც და უბედურებაც იმაშია, ბრაზილიაში რომ დაიბადე. ერთი ბრაზილიელი უკვე გაამეფა ფეხბურთმა. ის კაცი პელეა, მეფეა, ცოცხალია და ჯერაც ახლოვთ. მოდი და დაავიწყე. მოდი და უკეთესი ფეხბურთი ითამაშე, ვერ ითამაშებ? ვერც შეძლებ.

კიდევ მარადონაა ცოცხალი. მარადონა ახსოვს მსოფლიო ფეხბურთს. ესეც დიდი კაცია, ესეც მეფე იყო. მილიონების კერპი — უბედური დიეგო. ჰოდა, მოდი და დაჩრდილე მარადონას ფეხბურთი.

მარადონას ფეხბურთი რომ დააჩრდილო, ზიდანს უნდა აჯობო ულაპარაკოდ. შუკერის ჯობნაზე ხომ საერთოდ არცაა საუბარი. პელე რომ ხალხს დაავიწყო, ოქროს ბურთის ათიდან ათივე გამოკითხვაში უნდა გაიმარჯვო და ლაურეატობიდან მეორე ანაც მესამე წელს ზინედინ ზიდანმა 178 ქულით არ უნდა მოგიგოს.



| რონალდო |
| --- |
| დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს ბრაზილიის ქალაქ ბენტო რიბეიროში (რიოს შტატი) |
| ამპლუა: თავდამსხმელი |
| სიმაღლე: 1,83 |
| წონა: 77 კგ |
| კლუბები: „კრუზეირო" (ბრზილია, 1993-94), „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია, 1994-96), „ბარსელონა" (ესპანეთი, 1996-97), „ინტერი" (იტალია, 1997-) |
| ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი 1994 წელს; 1998 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი; 1997 წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი; თასების თასი 1997 წელს; ესპანეთის სუპერთასი 1997 წელს; ჰოლანდიის თასი 1996 წელს |
| ნაკრებში: 45 მატჩი, გაიტანა 29 გოლი |

— ჩავარდნა აქვსო, იტყვიან შენი თაყვანისმცემლები. მესმის და ჩემებურადაც მესმის ეს „ჩავარდნა". სხვებმა გაიძულეს, ხელი შეგიწყვეს, თავბრუ დაგახვიეს და შენც „ჩავარდი". და ერთიცაა, ფეხბურთის მეფემ შეიძლება ხუთი მატჩი „ჩააგდოს" და არა სეზონი. სეზონის ჩაგდების უფლება ფეხბურთის მეფეს არა აქვს.

ამიტომაც, კიდევ ერთხელ შეგეკითხები, შეძლებ?

და გულისტკივილით ამასაც გეტყვი — მეგონა, რომ შეძლებდი, სხვებზე მეტი შანსი შენ გქონდა, თუმცა...

ადრე, ადრე დაგახვიეს თავბრუ. მოდისო, ესაა რაცააო, გენიოსიო, ფენომენიო... ჰოდა, შენს მაქებარ ხალხს გადავწვდები — ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჯეელს რომ გენიოსს, მეფეს და ფენომენს უძახებ, იმას სიკეთე დაეყრება?!

და როცა ფეხბურთელი ოცდაორი წლის ასაკში უკვე არის მსოფლიოს ჩემპიონი, ესპანეთის თასის და სუპერთასის, ევროპის თასთა თასის და სუპერთასის მფლობელი, იგი ბევრ რამეს სხვანაირად ხედავს (უკვე!).

ამიტომაც აღარ გამკვირვებია, როცა „ინტერის" აქციები იყიდე. ისიც მენიშნა, რომ ბარების გახსნას მიჰყავი ხელი და სუზანა ვერნერთან არშიყი ხომ არ გამკვირვებია და არა...

შენ მეფობას მაშინ შეძლებდი, ფეხბურთი ძველებურად ერთადერთი გატაცება რომ ყოფილიყო შენი.

ამჟამად ფეხბურთი შენი ერთ-ერთი გატაცებაა და ამიტომაც მეპარება ეჭვი — შეძლებ?

და ბოლოს, ერთხელაც გეტყვი — შენ მომავალი ჯერაც წინა გაქვს... და ერთსაც — მძიმეა გვირგვინი მეფეთა.

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **ამხანაგური მატჩი** | | | |
| 23 დეკემბერი | | | |
| ისრაელი — იუგოსლავია | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| **თურქეთის ჩემპიონატი.** გადადებული მატჩი | | | |
| 23 დეკემბერი | | | |
| ანკარაგიუჯიუ — გალათასარაი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| **ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. XIX ტური | | | |
| 26 დეკემბერი | | | |
| არსენალი — ვესტ ჰემი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბლექბერნი — ასტონ ვილა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ქოვენთრი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ევერტონი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მანჩესტერი — ნოტინგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| მიდლსბრო — ლივერპული | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნიუკასლი — ლიდსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შეფილდ უენსდეი — ლესტერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| საუთჰემპტონი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| უიმბლდონი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| **ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. XXV ტური | | | |
| 26 დეკემბერი | | | |
| ბირმინგემი — შეფილდ იუნაიტედი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბოლტონი — ბრედფორდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქრიუ — ბერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ჰადერსფილდი — გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იფსვიჩი — პორტსმუთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ოქსფორდი — კრისტალ პალასი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტოკპორტი — ბარნსლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სვინდონი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტრანმერი — სანდერლენდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უოტფორდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| **შოტლანდიის ჩემპიონატი.** XX ტური | | | |
| 26 დეკემბერი | | | |
| დანფერმლაინი — აბერდინი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კილმარნოკი — ჰართსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მოზერველი — დანდი იუნაიტედი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეინჯერსი — სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 27 დეკემბერი | | | |
| დანდი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| **ჰოკეი. NHL** | | | |
| 23 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — ფილადელფია | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ბუფალო — ტამპა ბეი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| ტორონტო — დალასი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ოტავა — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ნიუ ჯერსი — სენტ ლუისი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| რეინჯერსი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფლორიდა — ვაშინგტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ჩიკაგო — ფინიქსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ნეშვილი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ედმონტონი — სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვანკუვერი — კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ინტერი | 2,5 | ლაციო | 2,0 | რომა | 3,0 |
| იუვენტუსი | 3,0 | ჩელსი | 2,0 | პარმა | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 | მალიორკა | 3,0 | მარსელი | 4,0 |
| ბაიერნი | 5,0 | ლოკომოტივი | 8,0 | ბორდო | 5,0 |
| რეალი | 6,0 | მაკაბი | 15,0 | სელტა | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | ვარტექსი | 50,0 | ატლეტიკო | 6,0 |
| დინამო | 10,0 | ვალერენგა | 50,0 | ბოლონია | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 | პანიონისი | 50,0 | ლიონი | 10,0 |

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| **გერმანია** | | **პორტუგალია** | | **ინგლისი** | |
| ბაიერნი | 1,01 | პორტუ | 1,4 | მანჩესტერი | 2,0 |
| ლევერკუზენი | 8,0 | ბენფიკა | 2,5 | ჩელსი | 2,0 |
| **თურქეთი** | | სპორტინგი | 3,0 | ასტონ ვილა | 3,5 |
| გალათასარაი | 1,4 | ბოავიშტა | 6,0 | არსენალი | 6,0 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 | **ჰოლანდია** | | ლიდსი | 8,0 |
| ბეშიქთაში | 2,5 | ფეიენოორდი | 1,5 | ლივერპული | 8,0 |
| ტრაბზონი | 5,0 | აიაქსი | 2,2 | მიდლსბრო | 8,0 |
| **შოტლანდია** | | ვიტესი | 5,0 | **იტალია** | |
| რეინჯერსი | 1,3 | ეინდჰოვენი | 6,0 | ინტერი | 2,0 |
| სელტიკი | 2,5 | **ბელგია** | | ფიორენტინა | 2,0 |
| კილმარნოკი | 6,0 | ბრიუგე | 1,1 | პარმა | 4,0 |
| **ავსტრია** | | გენკი | 3,5 | იუვენტუსი | 5,0 |
| შტურმი | 1,7 | სტანდარდი | 6,0 | მილანი | 5,0 |
| რაპიდი | 2,0 | ანდერლეხტი | 8,0 | რომა | 8,0 |
| გრაცერი | 4,0 | **საფრანგეთი** | | ლაციო | 8,0 |
| ლინცერი | 8,0 | მარსელი | 1,3 | **ესპანეთი** | |
| **შვეიცარია** | | ბორდო | 2,5 | რეალი | 1,8 |
| სერვეტი | 1,8 | **პოლონეთი** | | მალიორკა | 2,0 |
| გრასჰოპერი | 1,8 | ვისლა | 1,1 | ბარსელონა | 3,0 |
| ციურიხი | 2,5 | ლეგია | 4,0 | ვალენსია | 5,0 |
| ლოზანა | 4,0 | ლეხი | 8,0 | სელტა | 5,0 |
| | | გურნიკი | 8,0 | ატლეტიკო | 5,0 |
| | | ვიძევი | 8,0 | | |

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ოცნების დასასრული

ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგული კლუბი „პარი სენ ჟერმენი“ შარშან კრიზისში ჩავარდა, რასაც პრეზიდენტის მიშელ დენიზოს და მწვრთნელის რიკარდოს გადაყენება მოჰყვა. ბრაზილიელმა კარიერა სამშობლოში გააგრძელა, დენიზომ კი „Canal+“-ის სპორტული რედაქციის ხელმძღვანელის პოსტზე შარლ ბიეტრი შეცვალა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პსჟ-ს მფლობელმა ტელეარხმა ერთგვარი როქი განახორციელა, რადგან დენიზოს ყოფილი თანამდებობა ბიეტრიმ დაიკავა. ეს ამბები ამ ზაფხულს მოხდა. ახალი პრეზიდენტი ახალი ხალხით და ახალი იდეებით მოვიდა. მწვრთნელად მან „ტულუზიდან“ ალენ ჟირესი წამოიყვანა, რადგან ამბობდა, ჩვენ ფეხბურთი ერთნაირად გვესმის, ეს კი წარმატების საწინდარიაო. ფეხბურთელებიც საკმაოდ გაყიდა და იყიდა ახალმა პრეზიდენტმა და ყველას აფიქრებინა, რომ პსჟ კრიზისს თავს დააღწევდა. მალე უფერული თამაშის გამო გუნდიდან ალენ ჟირესი დაითხოვეს. მისი ადგილი პორტუგალიელმა არტურ ჟორჟემ დაიკავა, მაგრამ ამან დედაქალაქური კლუბის საქმეები ნამდვილად ვერ გამოასწორა და ფრანგული პრესაც ახმაურდა, მწვრთნელს კიდევ ერთხელ შეცვლიანო. ამის მაგივრად კი ორშაბათს თვით

## ბიეტრი გადადგა!

აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ძალიან პირდაპირი კაცია, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს და აკეთებს. მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, სწორედ ეს გახდა მისი კრახის მიზეზი. გუშინწინ მან გადადგომა გადაწყვიტა და სენის სანაპიროზე მდებარე „Canal+“-ის ოფისში ტელეარხის პრეზიდენტ პიერ ლესკიურს შეხვდა. შაბათ-კვირას კი ბიეტრიმ ბარსელონასა და მილანში იმოგზაურა პსჟ-ს საქმეების გამო. პსჟ-ს, რომლის პრეზიდენტობაზეც დიდ ხანს ოცნებობდა; პსჟ-სი, რომლის ევროპის საფეხბურთო მწვერვალებზე აყვანაზეც ოცნებობდა...

პიერ ლესკიურმა ბიეტრის თხოვნა არ დააკმაყოფილა — ადმინისტრაციული საბჭოს სხდომას დაველოდოთ და იქ გადავწყვიტოთო. მაგრამ ბიეტრიმ არ გადათქვა, მინი პრესკონფერენცია მოაწყო და მასმედიის წარმომადგენლებს გუნდიდან წასვლის შესახებ ამცნო. ჟურნალისტებთან შეხვედრისას ერთ დროს მათმა კოლეგამ მეტად მშვიდად ისაუბრა, ერთი სიტყვაც არ დასცდენია „Canal+“-ის „დიდი ოჯახის“ რომელიმე წევრის წინააღმდეგ. თუმცა იმავე საღამოს მეგობრებს გამოუტყდა, რომ თავს ისე გრძნობდა, თითქოს ულალატეს. იგი ვერაფრით შეეგუა არტურ ჟორჟეს. პორტუგალიელი და მისი მოადგილე დენის ტროში პსჟ-ში შარლ ტალარს მიუყვანია, ტალარს, რომელიც ადმინისტრაციული საბჭოს ძალიან გავლენიანი წევრია.

„გარდა იმისა, რომ ჟორჟემ კარგად თუ ცუდად აწყობილი საქმის შუა სეზონში თავიდან დაწყება დააპირა და ოთხი ახალი ფეხბურთელის უაზროდ ყიდვა მოთხოვა, მას ექსპარიზელი ვალდოს დაბრუნებაც უნდოდა“ — თქვა ბიეტრიმ. ვალდო კი ახლა უკვე 35 წლისაა და პსჟ-ში მის ტრანსფერზე რეპუტაციაშელახული ხალხი ზრუნავდა. ჟორჟემ ერთი ფეხბურთელის შესასყიდი ფული მაინც დასტყუა ბიეტრის, თუმცა საკუთარი თანამემამულე ჰელდერი მინდორზე ერთხელაც არ შეუშვია.

ორიოდ დღის წინ მარსელში „OMTV“-ს პრეზენტაციისას ლესკიურმა „ანტიპარიზული“ განცხადება გააკეთა: „ჩვენ პსჟ-ს კი არა, საერთოდ, სპორტის არხი ვართ.“



REUTERS

ლორან პერპერი (მარჯვნივ) ეს-ესაა პსჟ ჩაიბარეს

ბიეტრის გამოზრდილმა ჟურნალისტებმა კი, ალბათ, ახალი შეფის მიშელ დენიზოს გულის მოსაგებად ყოფილი უფროსის მიმართ ცინიკურ გამოხტომებს უმატეს. ამასთანავე ბიეტრის აბრალებენ, ცუდი, გამოუსადეგარი ფეხბურთელები იყიდაო. ამ ბრალდებას პრეზიდენტი არ უარყოფდა და შეცდომის გამოსწორებას ჩემპიონატში შესვენებისას აპირებდა. თუმცა გუნდის მფლობელები ერთი სანტიმის გაღებასაც კი აღარ აპირებდნენ. ალენ გომას „ტოტენჰემში“ და დიდიე დომის „ნიუკასლში“ გაყიდვით ბიეტრი 80 მილიონი ფრანკის აღებას ვარაუდობდა და სურდა, ბრაზილიელი კრუზი და პარაგვაელი გამარა შეეძინა, მაგრამ...

„ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელი მიშელ პლატინის ერთმა წინადადებამ მას მოთმინების ფიალა აუვსო. ფეხბურთის არისტოკრატმა, რომელმაც თავისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის ალენ ჟირესის სამსახურიდან დათხოვნა ვერ აიტანა, გოლფის თამაშისას თქვა: „ბიეტრის საქმე მოთავებულია. რომ მოვინდომო, ხვალვე გავხდები „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტი, მაგრამ ეს ოდნავაც არ მსურს.“ თან ბიეტრისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ლესკიურმა პლატინის მართლაც შესთავაზა პსჟ-ს პრეზიდენტობა და მანაც წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა. მისი შემცვლელი „Canal+“-მა უკვე შეიგულა. ეს

## ლორან პერპერია

თუმცა ვით პერპერმა, რომელიც „Canal+“-ის ფინანსური დირექტორია, ახალი ამბავი არც უარყო და არც დაადასტურა: „ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერი ადმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე გადაწყდება.“ პერპერის გარდა პრეზიდენტობის კანდიდატები „პარკ დე პრენსის“ დირექტორი ლიონელ დრექსლერი და ადმინისტრაციული საბჭოს წევრი კრისტიან ერვე იყვნენ, მაგრამ ტელეარხის ტრადიცია მოითხოვდა, რომ პსჟ-სთვის ვინმე მის თანამშრომელს უნდა ეთავკაცა. ამიტომაც აშკარა უპირატესობა „Canal+“-ის ფინანსური დირექტორის მხარეს იყო და იგიც პრეზიდენტი გახდა.

ლორან პერპერი 47 წლისაა და მშვენიერი კარიერაც აქვს. იგი ტელევიზიაში მუშაობის გარდა გაზეთების — „პროვენსალის“ და „მატენის“ საქმეებს უძღვება და თან ბანკ „სტერნის“ გენერალური დირექტორიცაა. თუ იგი პრეზიდენტი გახდება, სავარაუდოა, რომ არტურ ჟორჟე „პარი სენ ჟერმენს“ გენერალურ მენეჯერად მოევლინება, სათადარიგოთა სკამზე კი პორტუგალიელს მისივე მოადგილე დენის ტროში შეცვლის.

რას მოუტანს ხელმძღვანელობის ცვლილება გუნდს და დაძლევს თუ არა პსჟ კრიზისს, ჯერ ძნელი სათქმელია. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



პიერ ლესკიური (შუაში) შარლ ბიეტრისა (მარცხნივ) და მიშელ დენიზოს მეგობრად რჩება

**811. მარიკა გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1: დავით ყიფიანი, 2. შოთა იამანიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**812. ნათია გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. გიორგი ქინქლაძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**813. გიორგი გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**814. ჯენი გოგორელიანი.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**815. ჯემალ სუთიაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**816. ჯუმბერ აბესაძე.** თბილისი. ინჟინერ-მეტალურგი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი გახოკიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**817. გიორგი ტუღუში.** რუსთავი. მოსწავლე. 7 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**818. გიორგი საბაშვილი.** ბათუმი. მოსწავლე. 16 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. რამაზ შენგელია, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**819. ალექსანდრე ქავთარაძე.** ოზურგეთი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე
**820. ბაქარ დოლიძე.** ოზურგეთი. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**821. ამბროსი გიგიაძე.** წყალტუბო. ინჟინერი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. მანუჩარ მაჩაიძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩიგაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**822. გოდერძი გვრიტიშვილი.** მანგლისი. მოსწავლე. 6 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. შოთა არველაძე, 3. ალექსანდრე იაშვილი, 4. გოჩა ჯამარაული, 5. ზაზა ჯანაშია
გუნდი: ნიკა ტოგონიძე, მურთაზ შელია, კახა ცხადაძე, კახა კალაძე, გიორგი ნემსაძე, ლევან კობიაშვილი, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, ალექსანდრე იაშვილი, ზაზა ჯანაშია, შოთა არველაძე
**823. გია თორაძე.** მანგლისი. ინჟინერი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**824. ნუგზარ ნათოზაიძე.** მანგლისი. უმუშევარი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდერ ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**825. მამუკა გვრიტიშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**826. ჯემალ აპალიანი.** ზესტაფონი. ინჟინერ-მექანიკოსი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**827. აკაკი ქვინიკაძე.** ზესტაფონი. მშენებელ-ინჟინერი. 73 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**828. ნოდარ სურგულაძე.** ოზურგეთი. სწავლული-აგრონომი. 61 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი
**829. რამაზ უკლება.** თბილისი. ინჟინერი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**830. ნელი შიოლაშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**831. დავით შიოლაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**832. გიორგი ხუციშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**833. პაატა ქერესელიძე.** თბილისი. ტექნოლოგი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**834. ვანო კოზაიძე.** ყაზბეგი. იურისტი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, ვლადიმერ ელოშვილი, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**835. გიორგი ყანდარელი.** თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. შოთა ესებუა, 2. სოსო ფილია, 3. გიორგი კვირიკაშვილი
ფეხბურთელი: 1. ირაკლი ზოიძე, 2. გივი დიდავა, 3. დიმიტრი კუდინოვი, 4. დავით ყანდარელი, 5. უშანგი რუხაძე
გუნდი: გიორგი ლომაია, დიმიტრი კუდინოვი, ლევან სილაგაძე, გიორგი პერტენავა, ჯონი ჯაგიძისი, ომარ თეთრაძე, დავით მეზურნიშვილი, გოჩა გოგრიჭიანი, დავით უჯმაჯურიძე, პაატა მაჭუტაძე, დავით ყანდარელი
**836. დავით ყანდარელი.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით მუჯირი (უმცროსი), სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**837. ვაჟა მაღლაკელიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 24 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე
**838. [illegible].** თბილისი. უცხო ენის სპეციალისტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე
**839. [illegible].** რუსთავი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

# არდადეგები: ხანგრძლივი, უხალისო და ნაძალადევი

სულთმობრძავ ქართულ კალათბურთზე ბოლო ხანს ბევრი ითქვა და დაიწერა. ახლა, როცა მისი ავადმყოფობის მიზეზებზე დაუფარავად და ხმამაღლა მსჯელობენ, უპირველესად ეროვნული ჩემპიონატის თემა წამოტივტივდება ხოლმე.

დღეს სწორედ ჩვენი ჩემპიონატის შესახებ ვისაუბრებთ, რომელიც დღითიდღე უძლურდება და უკან-უკან მიექანება. საშველი კი არ ჩანს.

დავიწყოთ იმით, რომ წლეულს პირველობა სულ მთლად ახლებური სისტემით ტარდება. გუნდები ოთხ წრედ იასპარეზებენ, რაც თავისთავად სიახლედ უნდა ჩაითვალოს. თუ რამდენად ეფექტურია ფედერაციის მიერ შემოთავაზებული ეს სისტემა, მომავალი წარმოაჩენს, მაგრამ არც გუნდების მწვრთნელთა ნააზრევის უთქმელობა იქნება. უმეტესობის აზრით, ჩემპიონატის ასეთნაირად ჩატარება გაუმართლებელია, რადგან ხშირ შემთხვევაში გუნდებს ხანგრძლივი დასვენებები უწევთ და როცა არც ხეირიანი სავარჯიშო პირობებია, ისინი მოუმზადებელნი ხვდებიან ამა თუ იმ მატჩს. ამის მაგალითად პირველი წრის გახსენებაც საკმარისია. ჩემპიონატი ოქტომბერში დაიწყო, შემდეგ ნაკრების მიზეზით ერთთვიანი შესვენება გამოცხადდა, რაც, მწვრთნელთა თქმით, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ის იყო, პირველობა განახლდა და შობა-ახალი წელიც მოვიდა, ისევ ერთთვიანი არდადეგები. გუნდების თავკაცთა უკმაყოფილებაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ვერც სრულფასოვანი მზადება გამოუდით და ვერც თამაში.

ყოველივე ზემოთქმული იქნებ არაფერია გათამაშების ყოველდღიურობიდან გამომდინარე მთელ რიგ დარღვევებთან შედარებით. უბედურებაც სწორედ ისაა, რომ დამრღვევის წინააღმდეგ არანაირი კანონი არ მოქმედებს და დებულებაც მავანი ენთუზიასტის მიერ შედგენილი არაფრისმთქმელი ქაღალდი გახდა. მითხარით, რა აზრი აქვს ისეთ დებულებას, რომელსაც ვერაფერში გამოიყენებ და გადამწყვეტ მომენტში „კარგი კაცების“ სინდრომს ანაცვალებ? ერთი სიტყვით, ჩვენში კანონი ვერ კანონობს და იქ, სადაც კანონს პატივს არ სცემენ, როგორც წესი, არც საქმე კეთდება.

საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას რა შედეგამდეც მივყავართ, ყველა კარგად ხედავს. თუმცა ზოგს ამის დანახვის უნარიც არ შესწევს, ანაც თვალთმაქცობს და აქეთ გედავება, წინ მივდივართო, გიმტკიცებს. დალოცვილო, წინ როგორ მივდივართ, როცა ქვეყნის ექსჩემპიონი „ვითა“ თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალა. არადა, თუ ვინმეს ფინანსურად ძლიერი ეთქმოდა, უპირველესად „ვითას“. როგორ გგონიათ, უფულობამ შეიწირა „ვითა“? არც მთლად ასეა საქმე. ამოუვიდა მის პატრონს ყელში ამდენი უსამართლობა, უაზროდ გუნდის შენახვა, მით უფრო, ისეთ ქვეყანაში, სადაც არც პერსპექტივა ჩანს და არც კანონს სცემენ პატივს. ისევ კანონი, ხედავთ?..

ახლა „ვითამ“ ისევ ჩემპიონატში დაბრუნება განიზრახა და საქმის კურსში ფედერაციაც ჩააყენა. თავის მხრივ, ფედერაცია დღეს დათქვამს და ამ საკითხს ალმასკომის სხდომაზე გადაწყვეტს. ყოველივე ძალიან ჩვეულებრივად მოხდება, როგორც ჩვენშია მიღებული და არც ისაა ძნელი მისახვედრი, როგორ დამთავრდება. რა თქმა უნდა, კეთილად, მაგრამ კანონი? ეჰ, ისევ კანონი.

მარტო ეს რომ იყოს, როგორმე აიტანდა კაცი, მაგრამ ყოველივე ეს უკვე სისტემატური გახდა. ზოგი მერე იკითხეთ, მეორე წრიდან (!) არმიის გუნდიც რომ ჩაებმება ჩემპიონატში. ფედერაციამ იფიქრა და გადაწყვიტა, რომ ასკ პირველობაში ჩართოს, რადგან მავანმა მაღალჩინოსანმა გუნდის აღდგენა მოისურვა. იფიქრა, რაღა ზედმეტი ვიწვალოო, ცოტა ჯიბესაც დავზოგავ და გუნდს მეორე წრიდან ჩამოვაყალიბებო. წინ ვინ დაუდგებოდა? ფედერაციამაც ფართოდ გაუღო კარი „ქართულ კალათბურთზე მოამაგეს“.

და მაინც, ავად თუ კარგად, ჩემპიონატი ტარდება. ძველებურად დარბიან გაყინულ დარბაზში კალათბურთელები, ძველებურად უხარიათ გამარჯვება და სწყინთ წაგება. ეგ არის, მაყურებელს უწინდებურად აღარ აინტერესებს ეროვნული ჩემპიონატი და თამაშს მოწყურებული გუნდებიც ცარიელი ტრიბუნების წინ ეტოქებიან ერთმანეთს.

საბედნიეროდ, მშიერ-მწყურვალთა ჭიდილში ისეთი მატჩებიც გამოკრთება ხოლმე, მომავლის იმედს რომ ჩაგისახავს. აგერ პირველი წრე ჩათავდა და ასეთები თითებზე თუ ჩამოგეთვლება კაცს, მაგრამ ავია თუ კარგია, ისევ ჩვენი მისახედია და უპრიანი იქნება, მონაწილე გუნდებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

გათამაშებას რუსთავის „აზოტი“ ლიდერობს, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატებში ყოველთვის სტაბილურობით გამოირჩევა და ამაში ლომის წილი მათ მთავარ მწვრთნელს ოთარ ხმელიძეს მიუძღვის. რუსთაველები წლეულს ჯერ არ დამარცხებულან და საეჭვოა, ახლო მომავალში ეს საფრთხე დაემუქროთ. ამის თქმის უფლებას უპირველესად მათი კარგი თამაში გვაძლევს. „აზოტმა“ აულელვებლად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე მოუგო ყველა მოწინააღმდეგეს, ბოლო ტურში კი მათ სტუ-ც მიაყოლა, რომელიც მანამდე ასევე დაუმარცხებელი იყო. გუნდი არც მომავალში აპირებს რაიმეს დათმობას. უეჭველია, „აზოტი“ შარშანდელის დარად ახლაც ჩემპიონობაზე ფიქრობს და შარშანდელი ხელისმოცარვის ანაზღაურებას შეეცდება. ჩემპიონობა — აი, რუსთაველების ერთადერთი მიზანი. ისინი არაფერს დაზოგავენ, რათა გულისწადილი აისრულონ.

რაც უნდა დიდი იყოს წარმატების სურვილი, შედეგი თავად კალათბურთელებმა უნდა განაპირობონ. ამ მხრივ „აზოტს“ დანარჩენებთან შედარებით საგრძნობი უპირატესობა აქვს, რადგან გუნდი საკმაოდ ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

მთავარ დამრტყმელ ძალად მათი ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე ითვლება, რომელიც მეტოქე კოლეგებს უამრავ თავსატეხს უჩენს და მის წინააღმდეგ ყველა უძლურია. ფარზე ჯაფარიძეს გამოცდილი მიხეილ ბერუაშვილი და ყოფილი თსუ-ელი ზვიად ბაბიაშვილი ეხმარებიან. ტანმაღალ მოთამაშეთა ეს სამეული ნებისმიერი თამაშისას ფარზე ბატონობს, რაც მოწინააღმდეგე გუნდებისთვის კვლავაც აუღებელ ციხესიმაგრედ რჩება. არანაკლებ ძლიერია რუსთაველთა უკანა ხაზიც: გოგობერიშვილი, ჟღენტი და გაბისონია ჩინებულად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს და მათ ოსტატობაზე გუნდის შედეგიც მეტყველებს.

ამათ დავუმატოთ რუსთაველთა საკმაოდ გრძელი სკამიც და მივხვდებით, რომ „აზოტის“ ამბიცია სულაც არ გახლავთ უსაფუძვლო.

ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს წლეულს აშკარად გაძლიერებული სტუ-ც. თამაზ ოქრუაშვილის შეგირდები საკმაოდ გააზრებულ და სანახაობრივ თამაშს აჩვენებენ, რამაც უკვალოდ არ ჩაიარა და ეს სტუდენტური კლუბი ბევრისთვის მოულოდნელად ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მოგვევლინა. სტუ-ს მეორეადგილოსნობა უდიდესი და ნაყოფიერი გარჯის შედეგია, თუმცა გუნდი არც გამოცდილი და პერსპექტიული კალათბურთელების ნაკლებობას განიცდის. სტუდენტთა ლიდერი უეჭველად ვასილ ოთიურიძეა, რომელმაც ახლახან ეროვნულ ნაკრებშიც მოსინჯა ძალა და ეს არცთუ ურიგოდ გამოუვიდა. გამთამაშებლები მიქაძე და ჩერქეზიშვილი გონივრულად უძღვებიან გუნდის შეტევებს. ახალგაზრდებიც — ტულუში, მინაშვილი, მოისწრაფიშვილი და სუხიშვილი დღითიდღე აუმჯობესებენ თამაშს და აქედან გამომდინარე, მათი ლიდერობაც მოულოდნელად აღარ უნდა მოგვეჩვენოს. მართალია, „აზოტთან“ შეხვედრამდე სტუ-ც დაუმარცხებლად ასპარეზობდა, მაგრამ ბოლო ტურში წაგებას ვერ გადაურჩა და ამ ეტაპზე უფრო ძლიერ რუსთაველებს დანებდა. თუმცა სტუდენტები ფარხმალის დაყრას სულაც არ აპირებენ და ამ წყენის გაქარვებას მომავალი წარმატებებით გეგმავენ.

სტუ-ს კვალში მეორე სტუდენტური გუნდი, თსუ უდგას. წლეულს იგი მხოლოდ ორჯერ დამარცხდა და ისიც პირველ-მეორეადგილოსნებთან. თსუ კარგი გუნდია. ერთი ეგ არის, ბოლო ხანს არასტაბილურობა დასჩემდა და გამარჯვებას ბოლო წამებზეღა აღწევს ხოლმე. ასე დაემართათ სტუდენტებს შედარებით სუსტ „შევარდენთან“, „მაკაბისთან“, თუმცა ზედმეტად თავდაჯერებულნი იღბალმა არ გასწირა.

ამ გუნდში რამდენიმე მართლაც ძლიერი კალათბურთელი თამაშობს. მათგან განსაკუთრებით 17 წლის ნიკა ცქიტიშვილი გამოირჩევა, რომელიც კარგა ხანია, ლიდერობას ითავსებს და ეს კარგადაც გამოსდის. მას ზურგს არჩილ ხელაშვილი უმაგრებს, რომელიც თავისი ცოდნითა და გამოცდილებით გუნდს დიდად ეხმარება. არ უნდა დაგვავიწყდეს გოჩა წოწელია, რომელსაც ბომბარდირული თვისებები ახასიათებს და საჭიროებისამებრ გუნდის აყოლიებაც ეხერხება. ამათ დავუმატოთ მგალობლიშვილი, დიმიტრიადი, ვეფხვაძე და გუნდიც შეიკრა. გუნდი, რომელიც უეჭველად მედლებისთვის იბრძოლებს.

თსუ-ს ცხრილში საგრძნობლად გაახალგაზრდავებული „დინამო“ მოჰყვება. წარმატებული სტარტის შემდეგ დინამოელებმა პირველი წრე ხედიხედ სამი მარცხით დაასრულეს, რაც მათ სატურნირო მდგომარეობასაც დაეტყო. წაგებათა უმთავრესი მიზეზი კი გამოცდილების არქონაა, თორემ პერსპექტიულ ბიჭებს არც ბრძოლის ჟინი აკლიათ და არც მწვრთნელის ხელი. მოსალოდნელია, რომ მათი თამაში დრო და დრო მეტად დაიხვეწება. ბიჭებიც მეტი მონდომებით შეუდგებიან ერთ დროს მქუხარე ექსფლაგმანის ღირსების დაცვას და შედეგიც არ დააყოვნებს.

„დინამოსგან“ განსხვავებით, სდასუ-მ წლეულს მეტად უჩვეულოდ დაიწყო და საწყისი ხუთივე („ვითასთან“ თამაშის ჩათვლით) შეხვედრა დათმო, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ მათი მეტოქეები მეტნაკლებად მომზადებულები შეხვდნენ პირველობას, სტუდენტები კი მხოლოდ ათი დღით ადრე შეიკრიბნენ. შემდეგ ნელ-ნელა გააუმჯობესეს თამაში, ამას გუნდში ახალი კალათბურთელების მოსვლაც დაერთო და შედეგად შარშანდელმა ბრინჯაოსნებმა ბოლო სამივე მატჩი მოიგეს. ყოველივეში განუზომელი წვლილი სწორედ ახალწვეულებს — თორთლაძესა და უძილაურს მიუძღვით, რომელთაც მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა ნაყოფიერი ტაქტიკა მოარგო, ფუნქციები სწორად გაანაწილა და მათი აღმასვლაც დაიწყო. მართალია, ამ გუნდის დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა მათ შესაძლებლობებს სრულად ვერ ასახავს, მაგრამ წინ კიდევ სამი წრეა და თავის მხრივ, სტუდენტებიც შეეცდებიან პოზიციების გაუმჯობესებას.

მეექვსე ადგილზე „შევარდენი“ მოკალათდა. სდასუ-ს მსგავსად, ახალწვეულ აკოლაშვილისა და გაგნიძის დამატებით ამ გუნდმაც დიდად ისარგებლა. მართალია, მათ მხოლოდ ორ თამაშში იმარჯვეს, მაგრამ თითქმის ყველა მეტოქეს დიდი ბრძოლა გაუმართეს და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, გაცილებით უკეთეს ადგილზე შეხვდებოდნენ მეორე წრის დაწყებას. მათი უმთავრესი პრობლემა სრულფასოვანი შემცვლელების ნაკლებობაა. მთელი მატჩის სიმძიმე ექვსი კაცის მხრებზე გადადის და ამიტომაცაა, ხშირად ბოლო წამებზე რომ მარცხდებიან ხოლმე.

თითო-თითო გამარჯვებით სატურნირო ცხრილის ფსკერს „კოლხა“ და „მაკაბი“ ამაგრებენ. მაკაბელები სულაც გაუმარჯვებლად ამთავრებდნენ პირველ წრეს, მაგრამ ბოლო ტურში ივარგეს, „დინამოს“ ადვილად გაუსწორდნენ და სამარცხვინო სერიალის შემდეგ ნანატრი გამარჯვება დააგემოვნეს. არადა, ამ გუნდში ისეთი კალათბურთელები თამაშობენ, როგორებიც ფერიაშვილი, ტალაბაძე, ანდღულაძე არიან და აქედან გამომდინარე, მათი უსუსური გამოსვლა ერთგვარად გაუგებარიც კია.

რაც შეეხება სოხუმის „კოლხას“, მათ ეს კინკილა გამარჯვება სწორედ „მაკაბის“ დასცინცლეს, თორემ დანარჩენ გუნდებთან ვერას გახდნენ. ასე რომ, მათი ბოლოადგილოსნობა ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა მათი ცენტრი, ახალგაზრდა დავით უგრეხელიძე რომ არ ვახსენოთ, არ ეგების. დათო გუნდის სული და გულია და ის, რომ კოლხელები მეტ-ნაკლებად წინააღმდეგობის გაწევას მაინც ახერხებენ, მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა.

**გიორგი ბიძაშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის და ბადრი ძეთილაძის ფოტოები**

## პირველი წრის საუკეთესო ხუთეული სარბიელის მიხედვით



არჩილ ჟღენტი
„აზოტი“



დავით თორთლაძე
სდასუ



დავით ზანიძე
„დინამო“



ვასილ ოთიურიძე
სტუ



ირაკლი ჯაფარიძე
„აზოტი“

# ჯანო ბაგრატიონი:
# მდგომარეობა კატასტროფულია



**წიწილებს თუ შემოდგომაზე ითვლიან, სპორტსმენთა მონაგარი ახალი წლის მიჯნაზე ჯამდება. ტრადიციისამებრ, ამავე დროს ეწყობა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაც, სადაც ისმენენ ამ ორგანიზაციის აღმასკომის ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ და პრობლემებზე მსჯელობენ. ტრადიცია არც ახლა ირღვევა და დღეს ამგვარ სესიას მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე მასპინძლობს, გუშინ კი ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს**

**— ბატონო ჯანო, თქვენს ანგარიშში რა იქნება ყველაზე სასიხარულო და სასიამოვნო?**

— დიდი ილიასი არ იყოს, რა გითხრათ, რით გაგახაროთ? მე უფრო პრობლემებზე, ჩვენს გასაჭირზე, სპორტული სამყაროს სატკივარზე ვისაუბრებ და ალბათ საკმაოდ მწვავედაც. თუმცა, ისეთს ვერაფერს ვიტყვი, რაც აქამდე ხმამაღლა არ მითქვამს და „სარბიელს“ არ დაუწერია, გნებავთ „ლელოს“, „საქართველოს რესპუბლიკას“, „რეზონანსს“, „ალიას“, „ახალ თაობას“, „ახალ ქართულ გაზეთს“, ტელევიზიის პირველ და მეორე არხებს, „რუსთავი 2“-ს და სხვებს. მინდა მადლობა გადავუხადო პრესას, რომელიც ობიექტურად აშუქებდა ოლიმპიზმის საკითხებს. ცხადია, მათ შორის იყო ჩვენი გაზეთი „ოლიმპიელიც“.

„ოლიმპიელმა“ თითქმის ექვსი წელი ღირსეულად აზიდა საქართველოს ოლიმპიური მემატიანის მძიმე ტვირთი. მადლობა ყველას, ვისაც ამ გაზეთში უთანამშრომლია, მაგრამ ახალი წლიდან გაზეთი აღარ გამოვა: მის ადგილს იკავებს იმავე სახელწოდების, ქართულ-ინგლისურ ენებზე შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე უცხოეთში დასტამბული ფერადი ჟურნალი, რომლის პირველი მკითხველნი და შემფასებელნი ალბათ სესიის მონაწილენი იქნებიან.

რაკი ოლიმპიზმის პროპაგანდაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ვიტყვი, რომ წლეულს გამოვიდა სეოკ-ის კონკურსში გამარჯვებული ავთანდილ ციბაძისა და დავით კინწურაშვილის წიგნი „ოლიმპიზმი“, რომელიც განსაზღვრულია სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის; საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასთან ერთად ჩავატარეთ ფოტო და ლიტერატურული კონკურსები; ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეასთან ერთად მოვაწყვეთ ნორჩთა შემოქმედების გამოფენა-კონკურსი. ფირმა „კოკა-კოლასთან“ ერთად, ტრადიციისამებრ, ჩავატარეთ „ოლიმპიური რბენის დღე“.

ნაყოფიერად საქმიანობდა ოლიმპიური აკადემია; მოეწყო ოლიმპიზმის საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კურსების მორიგი გამოშვება. აკადემიის ფილიალები დაფუძნდა იმერეთის, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

ერთი სიტყვით, ოლიმპიზმის აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში სხვაც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ერთხელ გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ამ საქმეში სრულად ვერ ვიყენებთ ჩვენს ოლიმპიურ მუზეუმს.

ამ თემაზე თუ სიტყვა გამიგრძელდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმე მეორეხარისხოვანი სულაც არ არის. ოლიმპიზმი და ოლიმპიური მოძრაობა მხოლოდ შეჯიბრებები არ არის. იგი არც მხოლოდ ოლიმპიური თამაშები და საერთოდ დიდი მიღწევების სპორტია. ოლიმპიზმი უფრო ფართო ცნებაა. ხუთი რგოლი მოიცავს სპორტსაც, კულტურასაც, განათლებასაც, ეკოლოგიასაც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გაზაფხულზე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი უმაღლესი ჯილდოთი, ოქროს ოლიმპიური ორდენით, დააჯილდოვა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ამავე ორდენით მეც დამაჯილდოვეს.

მინდა კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ფაქტი ხაზგასმით აღვნიშნო. ბოლოს და ბოლოს, გაირღვა მოჯადოებული წრე და საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის სამი წარმომადგენლიდან ორი — რუსუდან სიხარულიძე და ემზარ ზენაიშვილი ევროპის ოლიმპიური კომიტეტების კომისიების, ხოლო თამაზ თევზაძე სამუშაო ჯგუფის წევრად აირჩიეს. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენი ეოკ-ის მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტზე.

მაგრამ ეს ყოველივე იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში ოლიმპიზმისა და სპორტის განვითარებაში პრობლემები აღარ გვაქვს. პრობლემა იმდენია, იმდენად საგანგაშო მდგომარეობაა, რომ მომავალს შიშით შევცქერი. მეც და სეოკ-ის აღმასკომს მიგვაჩნია, რომ სპორტის ყველა გულშემატკივარმა, ჟურნალისტებმა, სახელმწიფო სტრუქტურებმა, მთელმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს — ერთ დროს საამაყო, უმდიდრესი ტრადიციების საქართველოს სპორტი დაღუპვის პირასაა. დღეს შექმნილ მდგომარეობას კატასტროფული უნდა ვუწოდოთ. აბა, სხვა რა ეთქმის ისეთ მდგომარეობას, როცა წლეულს ჩვენმა ათლეტებმა სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი გაჭირვებული ბრინჯაოს მედალიც კი ვერ მოიპოვეს. ოლიმპიურ სახეობებში წლეულს სამდ-სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ეს შედეგი შარშანდელზე უარესია. უარესია 1994 წელთანაც შედარებით, როცა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადნახევარი გვაშორებდა. ახლაც თითქმის იმდენივე გვაშორებს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე.

ატლანტის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ვთქვი, მერეც არაერთხელ ხმამაღლა განვაცხადე და ახლაც ვიმეორებ, თუ ასე გაგრძელდა საქართველოს სპორტის დაფინანსება, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე უმედლოდ დავრჩებით.

აბა, სხვას რას უნდა ველოდოთ, როცა ქვეყანა თავისი ბიუჯეტიდან სულ რაღაც 0,3 პროცენტს, ისიც მხოლოდ ქაღალდზე, გამოჰყოფს მთელს სპორტზე და ფიზიკურ კულტურაზე, სპორტის მუშაკთა ხელფასზე და ინვენტარზე, ბაზებსა და ეკიპირებაზე, შეჯიბრებებში მონაწილეობასა და საპრიზო ფონდზე... ამის გათვალისწინებით, განა შეიძლება ვინმეს ჰქონდეს მაღალი შედეგების მოთხოვნის მორალური უფლება?

მახსენდება „სარბიელში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ვიქტორ სანეევთან, რომელიც ამბობს: „მერწმუნეთ, ჩაუცმელ-დაუხურავი, უჭმელ-უსმელი, ფიზიკურად არაჯანსაღი, უშეჯიბრო და ყოველგვარ სტიმულს მოკლებული ათლეტის იმედი არ გქონდეთ სიდნეიში და არც მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე. გთხოვთ, შეინარჩუნოთ სპორტი ჯანსაღ მდგომარეობაში“.

ამ სიტყვებში ახალი არაფერია ისეთი, თქვენ რომ არ იცოდეთ, ჩვენ რომ არ ვიცოდეთ, მაგრამ დიდმა სპორტსმენმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, სპორტს სჭირდება სახელმწიფოებრივი ყურადღება. საჭიროა საქმით დავამტკიცოთ სპორტის სიყვარული და არა დეკლარირებით.

მახსენდება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის სიტყვებიც, ერთ-ერთ ინტერვიუში რომ თქვა — სპორტი მიუგდეს სპორტის დეპარტამენტს და მისკენ გამოხედვაც არ უნდათო.

**— საქართველოში სპორტის მდგომარეობას მეტისმეტად მუქ ფერებში ხომ არ წარმოადგენთ? ამ ზაფხულს მოსკოვში, მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე ხომ წარმატებით გამოვიდა ჩვენი დელეგაცია? მოსკოვში თავგამოჩენილი ჩვენი ახალგაზრდობა ხომ ჩვენივე ხვალინდელი დღეა...**

— მოსკოვში 130-ზე მეტი ქვეყნის 7 ათასამდე ახალგაზრდა 15 ოლიმპიურ სახეობაში ასპარეზობდა. ჩვენმა 85 სპორტსმენმა 17 მედალი, მათ შორის 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კი VI ადგილი დაიკავეს.

საქართველოსთვის ეს მეტად შთამბეჭდავი წარმატებაა და ბევრი ჩვენზე დიდი ქვეყნისთვის მიუღწეველი შედეგი გახლავთ. მაგრამ ამან ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს და საღად უნდა შევაფასოთ შედეგებიც, მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლობაც და ამ თამაშებისადმი სპორტში ბევრი წამყვანი სახელმწიფოს დამოკიდებულებაც. მოსკოვური წარმატება უფრო ენთუზიაზმზე იყო დამყარებული. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სპორტში ყველაფერი რიგზეა, მათ შორის რეზერვთან მუშაობაშიც. ერთი სიტყვით, თუ სასწრაფოდ, კარდინალურად არ შეიცვალა ქართული სპორტისადმი დამოკიდებულება, ატლანტის შედეგები სიდნეიში სანატრელი გაგვიხდება. ეს არაა თავის დაზღვევა და პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალების მცდელობა.

**— რაში ხედავთ გამოსავალს?**

— უნდა იცოდეს ყველამ — ქვეყნის პრეზიდენტმაც, პარლამენტის თავმჯდომარემაც, სახელმწიფო მინისტრმაც, პარლამენტმაც, მინისტრებმაც, პირველ რიგში ფინანსთა მინისტრმა — მხოლოდ სპორტის ოლიმპიური სახეობების მდგომარეობა ნაწილობრივ რომ ვიხსნათ და მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი შედეგი ვაჩვენოთ სიდნეიში, თამაშებამდე დარჩენილ პერიოდში საჭიროა 2,5-3 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარი. თანაც არა სპორტის ყველა ოლიმპიურ სახეობაზე საერთოდ, არამედ იმ 12-13 სახეობის წარმომადგენელთა მოსამზადებლად, რომლებიც დღეს საქართველოს ოლიმპიურ გუნდში გვესახებიან, ასეთები კი დღეისთვის 30-35 სპორტსმენია.

ეს თანხა, რომელიც შეიძლება რამდენადმე შეიცვალოს, საჭიროა გამოიყოს მიზნობრივად მხოლოდ სიდნეის თამაშებისთვის მზადებისა და მონაწილეობისთვის. ეს თანხა არ უნდა მოვაქციოთ საერთო ქვაბში, რომლიდანაც ყველა მიირთმევს — ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობები — ასეთები კი რამდენიმე ათეულია. ამ „ჯამიდან“ გაიცემა ხელფასები, ბაზების შენახვის, შეჯიბრების ჩატარების, რეზერვთა მომზადების, ყოველგვარი სპორტსკოლების დაფინანსების, შენობა-ნაგებობათა რემონტების და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის თანხები.

ერთი სიტყვით, ეს ძალზე სერიოზული და საშური საქმეა და თუ გვინდა, თამაშების ფინიშის სწორზე მდგომარეობა რამდენადმე მაინც გამოვასწოროთ, ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია ბიუჯეტიდან სპორტისთვის გამოყოფილი საერთო თანხიდან მიზნობრივად გამოიყოს დაფინანსება დევიზით: „სიდნეი-2000“, გაიხსნას ცალკე დროებითი ანგარიში, ხოლო მისი ხარჯვის მექანიზმის შემუშავება ძნელი არ იქნება. ერთი კია — ამ ანგარიშზე თანხა არ უნდა იყოს სახვეწარი და სამათხოვრო ხაზინიდან თუ ფინანსთა სამინისტროდან.

გვინდა თუ არა, ასეთმა სტრატეგიამ შეიძლება რაღაც ფორმით შეზღუდოს სპორტის სხვა, მათ შორის ოლიმპიურ სახეობათა ინტერესები; მაგრამ ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არაა.

ჩვენ ფინანსებზე ბევრი ვილაპარაკეთ. ძირითადად სწორედ დაუფინანსებლობითაა განპირობებული ჩვენი სპორტსმენების წლევანდელი უფერული შედეგები. მაგრამ ყველაფრის უფულობაზე დაბრალებაც არ იქნება.

თქვენ იცით, რომ სეოკ-ს საქართველოს სპორტულ სივრცეში მისი დღევანდელი ადგილის მიხედვით არ აქვს ბერკეტები, ვთქვათ ფინანსური ზემოქმედებისა, მაგრამ ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში არც სეოკ-ია მოვლენების მდუმარე შემყურე.

**— ამბობთ, ფინანსური ბერკეტები არა გვაქვსო, მაგრამ სეოკ-მა ჩვენს საუკეთესო სპორტსმენებთან დადო ხელშეკრულებები, რომლის ძალითაც ისინი მიიღებენ ოლიმპიურ სტიპენდიებს, სამაგიეროდ, მოქალაქეობას არ შეიცვლიან სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე.**

— დიახ, წლეულსაც გრძელდებოდა სეოკ-ისა და სოკ-ის პროგრამა ოლიმპიური გუნდის წევრების ოლიმპიური სტიპენდიებით უზრუნველყოფის შესახებ. პირველ სექტემბრამდე სტიპენდიებს 20-მდე სპორტსმენი და 5 მწვრთნელი იღებდა და ეს სახსრები მთლიანად არ იყო სოკ-ის პროგრამით გათვალისწინებული. სეოკ-მა აუცილებლად მიიჩნია, სხვა პროგრამების შეკვეცით, ან მის ჩატარებაზე უარის თქმით ღვთის ანაბარად მიტოვებული სპორტსმენებისთვის თუნდაც მცირეოდენი თანხა მაინც მიგვეცა, მით უმეტეს, როცა შეპირებულს ვერც ხელფასის და ვერც საპრიზო ფონდის სახით ჩვენი სპორტსმენები სხვა სტრუქტურებიდან თვეობით ვერ იღებდნენ.

რაც შეეხება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტიპენდიების პროგრამას, იგი დაიწყო წლევანდელი პირველი სექტემბრიდან და 2000 წლის სექტემბრამდე გაგრძელდება. იგი განსაზღვრულია იმ 6 სპორტსმენზე, რომლებიც ჩართული არიან პროგრამაში სიდნეი-2000 და 3 ახალგაზრდა, პერსპექტიულ ათლეტზე. ადრინდელი გამოცდილების საფუძველზე, სეოკ-ი ამჯერადაც იძულებული იყო, 9 კაცზე გამოყოფილი თანხა გადაენაწილებინა თითქმის 34 სპორტსმენსა და 7 მწვრთნელზე. ეს კარგი ცხოვრებით არაა გამოწვეული, მაგრამ მორალურად გამართლებულად მიგვაჩნია.

**— გაისად სიდნეის ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებისთვის ბრძოლის ძირითადი წელი იქნება. მაინც, რას უნდა ველოდოთ ამ საქმეში, მერე კი თავად ოლიმპიური თამაშებისგან?**

— პრაქტიკულად ჩვენ სრულად ვერ გამოვიყენეთ საოლიმპიადოდ მოსამზადებელი ორი წელი, დარჩენილ დროში კიდევ შეიძლება მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება. ამიტომ, როგორც ვთქვი, სასწრაფოდ, კარდინალურად უნდა შეიცვალოს სპორტისადმი დამოკიდებულება. თუ სპორტი არ გვაინტერესებს როგორც სპორტი, უნდა გავიგოთ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ათლეტთა შედეგები, მონაწილეობის სხვა ასპექტები სცილდება წმინდა სპორტულ ჩარჩოებს და ის, ჩვენი აზრით, ზოგადსახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. აქედან გამომდინარე, იქნებ უპრიანი იყოს, რომ შეიქმნას ისეთი ზეუწყებრივი ჯგუფი, ვთქვათ, 5-7 კაცის შემადგენლობით, რომელიც თავის ხელში აიღებს სიდნეისათვის მზადების ყველა მიმართულებას და ოპერატიულად და მთელი სიმწვავით რეკომენდაციების სახით დააყენებს ამა თუ იმ საკითხს იმ ორგანოს წინაშე, რომლის პრეროგატივაცაა მისი გადაწყვეტა. სრულებით არ ვფიქრობთ, რომ ამ ჯგუფმა შეცვალოს სპორტის დეპარტამენტი ან ოლიმპიური კომიტეტი, ან მათ პარალელურ სტრუქტურად იქცეს. ჯგუფის ამოცანა უნდა იყოს სიდნეისთან დაკავშირებული ყველა საკითხის აკუმულირება და ყოველგვარი უწყებრივი ხასიათის მიუხედავად მათი ერთმანეთთან კავშირში გადაწყვეტა. ამ ჯგუფში უნდა შევიდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ჯგუფში მისი საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად და მასმედიის მეშვეობით საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით მოვიწვიოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტიც.

ჯერჯერობით ეს მხოლოდ წინადადებაა, რომელსაც შეიძლება ოპონენტებიც გამოუჩნდნენ. ვნახოთ, ვიმსჯელოთ. მხოლოდ ქაღალდზე შექმნილი ჯგუფი არავის სჭირდება. თუ ამ იდეაში რაციონალური მარცვალი დევს, აღარ უნდა დავამტკიცო.

**— რას იტყოდით სპორტულ ფედერაციებთან სეოკ-ის ურთიერთობაზე?**

— საანგარიშო პერიოდში სეოკ-ის შესაძლებლობით მაქსიმალურად სარგებლობდნენ ფედერაციები. ჩვენი ფინანსური უზრუნველყოფით ორივე სტილით მოჭიდავეებს, ძიუდოისტებს, მძლეოსნებს, ჩოგბურთელებს ჩაუტარდათ 2-3 კვირიანი საწვრთნელი კურსები, რომელშიც 50 კაცზე მეტი მონაწილეობდა. მიგვაჩნია, რომ ამან პოზიტიური გავლენა მოახდინა იმ მოკრძალებულ შედეგებზე, რომელთა მიღწევა წლეულს შესაძლებელი გახდა. კალათბურთის ფედერაციის სამწყსოს ჩამოვუყვანეთ იუგოსლაველი ექსპერტი, რომელმაც რამდენიმედღიანი კურსები ჩაატარა მწვრთნელებისთვის. გერმანიის ოლიმპიურ კომიტეტთან მოლაპარაკების საფუძველზე და მათი ფინანსური მხარდაჭერით ორი სპეციალისტი სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაციიდან ლაიფციგში გადის ხუთთვიან საწვრთნელ-საკვალიფიკაციო კურსებს.

სეოკ-ი ინტენსიურად მუშაობს პოლონეთის ეოკთან და ნიჩბოსნობის ფედერაციასთან საშეჯიბრო კანოეს შესაძენად. ამ საკითხს ალბათ უახლოეს რამდენიმე დღეში გადავწყვეტთ.

ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ ყოველთვის როდი გვაქვს მორალური და იურიდიული უფლება, მთელი სიმწვავით და ობიექტურობით მოვკითხოთ საქმის მდგომარეობაზე ამა თუ იმ ფედერაციის ხელმძღვანელებს, მის მუშაკებს. ძნელია ეს გააკეთო, როცა 7-10 თვის მანძილზე ხელფასით (თუ იმას ხელფასი ჰქვია, რაც მათ უწყისში უწერიათ), ვერ უზრუნველყოფ.

მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ ვართ და სპორტი არ მიგვიტოვებია — ეს კი პროფესიონალიზმთან ერთად ამ საქმის ავადმყოფური სიყვარულის გამოც ხდება — ვალდებული ვართ, ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ.

უკვე ბევრჯერ ითქვა, რომ ფედერაციების ხელმძღვანელობა უნდა შეეცადოს მოიპოვოს მეტი დამოუკიდებლობა და ავტონომია თავის სახეობის მართვაში და განვითარებაში. გავუშინაურდეთ სპორტში ბიზნესსა და კომერციას. სახელმწიფოსაკენ მუდმივად ხელგაწვდილი ყოფნა არც სასიამოვნოა და კი ხედავთ, შედეგიც როგორია.

თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს არა მარტო ცალკე აღებული ფედერაციის, არამედ საერთოდ ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის დღემდე გადაუჭრელი პრობლემაცაა.

ერთი მოკრძალებული სურვილი და რეკომენდაცია ფედერაციათა პრეზიდენტებს: მსოფლიო სპორტულ და ოლიმპიურ პრაქტიკაში ცნობილია, რომ მათი სტრუქტურების საქმიანობის ეფექტურობას ბევრად განაპირობებს გენერალური მდივნის პიროვნება. მიგვაჩნია, რომ ყველამ ერთობლივად — ჩვენც, ფედერაციებმაც, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმაც, მოვიფიქროთ ამ რანგში ამჟამად მოსაქმიანე კადრების მომზადება-გადამზადების საკითხი, ხოლო მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საქმიანობის ამ უბანზე კადრების შერჩევას.

ერთი კია, დრომ მოიტანა, რომ თვისებრივად ახალი ტიპის კადრები უნდა მოვიდნენ ფედერაციებში.

**— როცა წლევანდელი სეზონის შედეგებს ვაჯამებთ, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ნაგანოს ოლიმპიური თამაშები.**

— მიუხედავად იმისა, რომ კარგად გვქონდა გათვითცნობიერებული ნაგანოში მედლების მოპოვების უპერსპექტივობა, მასში მონაწილეობა აუცილებელი იყო და საერთო ფერხულს არც მომავალში უნდა გამოვაკლდეთ.

ნაგანოში სულ ჩვენი 4 სპორტსმენი გამოდიოდა. მიღწევად უნდა ჩაითვალოს ზურაბ ჯიჯიშვილის მე-14 ადგილი სამთოსათხილამურო სპორტში.

საერთოდ, ნაგანოში ჩვენი სპორტსმენების შედეგები შეესაბამება იმ მზადებასა და ხელშეწყობას, რომელიც მათ ჰქონდათ. თუ ობიექტურნი ვიქნებით, სპორტსმენები ოდნავ უკეთესადაც კი გამოვიდნენ.

სხვათა შორის, რომ არა სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ გოგი თოფაძის მონდომება და ძალისხმევა, ნაგანოში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა და გამგზავრება ვერ მოხერხდებოდა.

უნდა ითქვას, რომ მაშინ თოფაძისგან აღებული ვალები აგერ უკვე წლისთავზეც კი გადაუხდელია.

სათხილამურო სპორტში ჩვენ კარგი პერსპექტივები გვაქვს, მაგრამ ყოველივე ამაზე უმჯობესია ესაუბროთ თავად გოგი თოფაძეს, რომელიც სეოკ-ის სესიაზე საინტერესო სიტყვითაც გამოვა.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ათეულები

წლის მიწურულს ძიუდოსა და ჭიდაობის ფედერაციებმა დაასახელეს სპორტსმენთა საუკეთესო ათეულები. საუკეთესონი შეირჩნენ საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირების შედეგთა გათვალისწინებით

## ძიუდო

1 ნესტორ ხერგიანი — ევროპის ჩემპიონი
2 გიორგი რევაზიშვილი — საქართველოსა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი
3 დავით მარგოშვილი — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში
4 ფირუზ ტყემელაშვილი — ევროპის ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში
5 ივერი ჯიქურაული — საქართველოსა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი
6 გია გუგავა — საქართველოსა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი
7 გიორგი წმინდაშვილი — საქართველოსა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის ვიცე-ჩემპიონი
8 რამაზ ჩოჩიშვილი — საქართველოს ჩემპიონი; თბილისის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი
9 ალექსი დავითაშვილი — თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი.
10 დავით ნადარაია — თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი

## თავისუფალი ჭიდაობა

1 ელდარ კურტანიძე — ევროპის ჩემპიონი
2 დავით პოლოსიანი — ევროპის ჩემპიონი
3 ემზარ ბედინეიშვილი — V ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე
4 ალექსანდრე მოდებაძე — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიოონი ახალგაზრდებში
5 დავით ლეჟავა — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში
6 ოთარ თუშიშვილი — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში
7 მიხეილ ტურაშვილი — ევროპის ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში
8 თამაზ გეგეშიძე — ევროპის ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში
9 მნაცაკან არუთინიანი — ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის III პრიზიორი
10 შოთა ბოლოლაშვილი — მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

1 ხვიჩა ბიჩინაშვილი — ევროპის ვიცე-ჩემპიონი
2 მირიან გიორგაძე — IV ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე
3 ტარიელ მელელაშვილი — საქართველოს ჩემპიონი
4 გიორგი ჯინჭველაშვილი — თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი
5 გელა ჩხაიძე — ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორი
6 გენადი ჩხაიძე — მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი
7 ბადრი ხასაია — მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორი ახალგაზრდებში
8 ლევან ოდიშარია — ევროპის ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში
9 ირაკლი ჭაჭუა — ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ახალგაზრდებში
10 ვანო ჩუბინიძე, ილია ლეჟავა და გიორგი რურუა — მსოფლიოს ჩემპიონები ჭაბუკებში

ჭადრაკი

# ახალი სახელი



პატარა ჩემპიონი ბექა გოგიტიძე

წლეულს, მაისში, შეიქმნა თბილისის ჭადრაკის ფედერაცია, რომელმაც ბინა ჭადრაკის სასახლეში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გვერდით დაიდო, მის პირველ პრეზიდენტად კი დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა აირჩიეს. ფედერაციამ აქტიური მოღვაწეობა დაიწყო და ამის დასტურად ჭადრაკის სასახლეში გამართული ტურნირებიც გამოდგება. ვგულისხმობთ თბილისის გოგონათა და ბიჭუნათა ჩემპიონატებს, რომლებიც 5 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. 12 წლამდე ბიჭუნებში თავი გამოიჩინა და საერთო ყურადღებაც მიიპყრო თბილისის 187-ე სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ბექა გოგიტიძემ, რომელმაც სტარტზე ზედიზედ შვიდი პარტია მოიგო, რაც დიდი იშვიათობაა, მითუმეტეს, რომ ტურნირი შვეიცარიული სისტემით მოეწყო. ბექას არც საბოლოო გამარჯვება გასჭირვებია, რამაც მას თბილისის ჩემპიონობასთან ერთად თანატოლთა საქართველოს ჩემპიონატის საგზურიც მოუტანა. ვულოცავთ წარმატებას ნიჭიერ ბიჭუნას და ვიმედოვნებთ, რომ მისი გვარ-სახელის ხსენება მომავალშიც მოგვიწევს.

**დავით გულუა**


საფეხბურთო კლუბები „გორდა“ და „ხალიბი“ თანაუგრძნობენ კახა ცხადაძეს ძმის გოჩა ცხადაძის გარდაცვალების გამო



იყიდება ჯიხური ელიავას ბაზრობაზე სანტექნიკის რიგში კარგ ადგილზე. ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში. იკითხეთ სანდრო


ჰოკეი

# ტორონტო ყველას უკვირს

21 დეკემბერი

**ტორონტო — პიტსბურგი 7:1**

2:1 4:0 1:0

0:1 ჰრდინა 6'04(3); 1:1 მაკოლი 12'28(7); 2:1 სუნდინი 13'33(11); 3:1 ჟ. სმიტი 26'06(1); 4:1 დ. კინგი 29'20(13); 5:1 ბერეზინი 30'56(9); 6:1 ჟონსონი 37'59(10); 7:1 სუნდინი 44'19(12)

ტორონტოს შარშანდელი უნიათობის კვალიც კი აღარ ეტყობა. რაც ზურგსუკან ჩინებული მეკარე კერტის ჯოზეფი დაიგულეს, ტორონტოელები ისე გათამამდნენ, თითქმის ყველა მატჩში აქცენტს შეტევაზე აკეთებენ. ამიტომაც „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ უჩვეულოდ ბევრი შაიბა გაიტანეს. ტორონტოელებს სამი გამტანი სამეული ჰყავთ, თანაც ალინ მაკოლიმ (ბოლო 2 მატჩში 3 გოლი და 4 პასია მის აქტივში) თვით სუნდინი და კომპანია დაჩრდილა. ზედიზედ მეორე მატჩში ტორონტომ 7 გოლი მიითვალა, ხოლო კლუბის გააზრებულმა თამაშმა მათი მწვრთნელი პეტ ქუინიც კი გააოცა. წლეულს 100 შაიბაზე მეტი მხოლოდ ტორონტომ გაიტანა.



REUTERS

ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფმა პიტსბურგელ რობ ბრაუნს (44) არ გაატანინა

**კაროლინა — ბუფალო 1:4**

1:2 0:1 0:1

0:1 შატანი 14'11(8); 1:1 კრონი 16'25(5); 1:2 პეკა 19'12(8); 1:3 ვული 23'02(3); 1:4 შატანი 59'38(9)

მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი მცველი აკლდათ, ბუფალოელმა მცველმა ჯეისონ ვულიმ კი გოლს ორი პასიც დაამატა.

**მონრეალი — დალასი 2:2**

0:0 2:1 0:1 0:0

1:0 ბრიუნე 26'35(10); 2:0 პულინი 31'21(4); 2:1 ზუბოვი 39'30(4); 2:2 საიდორი 53'54(9)

1948 წლის შემდეგ პირველად ხდება, რომ მონრეალმა 10 შეხვედრაში ერთხელაც ვერ მოიგო. საკლუბო ანტირეკორდთან მას მხოლოდ 2 თამაშიღა აშორებს. კანადელებს ვერც „რკინის“ მარკ რეკიმ უშველათ, რომელიც ახლახან გამოჯანმრთელდა. ისე, დალასთან ფრე იოლი როდია.

უნდა აღინიშნოს, რომ მატჩში წესის დარღვევა მხოლოდ ერთხელ (!) დაფიქსირდა.

**ანაჰაიმი — კოლორადო 2:4**

1:1 1:2 0:1

0:1 დედმარში 10'59(9); 1:1 სელიანე 13'17(13); 2:1 გრინი 23'29(7); 2:2 დონოვანი 30'21(3); 2:3 ჰეიდუკი 39'10(5); 2:4 ლემიე 52'07(9)

მეორე პერიოდის მიწურულს კოლორადოს მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ მზაკვრულ ხერხს მიმართა — რიცხვმრავლობის ბრიგადას ამოსუნთქვის საშუალება რომ მისცემოდა (იმ წუთებში მასპინძლებს ერთი მოთამაშე ჰყავდათ გაძევებული), მან პატრიკ რუა კრეიგ ბილინგტონით შეცვალა. სანამ სათადარიგო მეკარე ყინულზე გავიდოდა, ჰარდლის შეგირდებმა სული მოითქვეს და ცოტა ხანში გოლიც გაიტანეს, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. აღსანიშნავია „ეველანშის“ ახალბედების — მილან ჰეიდუკის (1+1) და კრის დრურის (2 პასი) თამაში. ლიდერების არყოფნაში ბევრი რამ არის მათზე დამოკიდებული.

**ბოსტონი — ტამპა 3:2**

0:1 1:1 2:0

0:1 ხენი 9'01(4); 1:1 მაკლარენი 25'10(3); 1:2 ლეკავალიე 30'12(5); 2:2 მაკლარენი 46'11(4); 3:2 გილი 51'29(2)

ბოსტონის სამივე გოლი მცველთა ანგარიშზეა, კლუბის წამყვანმა ცენტრმა ჯეისონ ელისონმა კი 3 პასი მიითვალა. ტამპელთა ვუნდერკინდმა ვენსან ლეკვალიემ (1+1) ერთ ქულაზე მეტი კარიერაში პირველად დააგროვა.

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 32 | 19 | 2 | 11 | 105:90 | 40 |
| ბუფალო | 28 | 17 | 5 | 6 | 83:51 | 39 |
| ბოსტონი | 30 | 15 | 6 | 9 | 82:61 | 36 |
| ოტავა | 29 | 14 | 3 | 12 | 86:73 | 31 |
| მონრეალი | 32 | 8 | 7 | 17 | 70:92 | 23 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 33 | 15 | 5 | 13 | 85:78 | 35 |
| ფლორიდა | 28 | 11 | 6 | 11 | 73:76 | 28 |
| ვაშინგტონი | 29 | 9 | 3 | 17 | 60:78 | 21 |
| ტამპა | 32 | 8 | 3 | 21 | 68:114 | 19 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 30 | 18 | 4 | 8 | 90:76 | 40 |
| ფილადელფია | 31 | 14 | 8 | 9 | 86:70 | 36 |
| პიტსბურგი | 29 | 13 | 7 | 9 | 83:80 | 33 |
| რეინჯერსი | 31 | 11 | 7 | 13 | 84:86 | 29 |
| აილენდერსი | 32 | 12 | 1 | 19 | 79:93 | 25 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 30 | 17 | 1 | 12 | 94:76 | 35 |
| სენტ ლუისი | 28 | 11 | 7 | 10 | 74:69 | 29 |
| ნეშვილი | 30 | 11 | 3 | 16 | 70:93 | 25 |
| ჩიკაგო | 32 | 9 | 4 | 19 | 71:107 | 22 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 30 | 19 | 6 | 5 | 89:62 | 44 |
| ფინიქსი | 27 | 18 | 4 | 5 | 7849 | 40 |
| ანაჰაიმი | 31 | 12 | 7 | 12 | 75:73 | 31 |
| სან ხოსე | 30 | 8 | 7 | 15 | 62:71 | 23 |
| ლოს ანჯელესი | 32 | 9 | 3 | 20 | 70:91 | 21 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 31 | 14 | 3 | 14 | 75:78 | 31 |
| ედმონტონი | 32 | 14 | 3 | 15 | 88:84 | 31 |
| კალგარი | 31 | 12 | 3 | 16 | 87:90 | 27 |
| ვანკუვერი | 30 | 11 | 4 | 15 | 84:90 | 26 |

*ბომბარდირები: კარია (ანაჰაიმი) 41 (14+27); ლინდროსი 39 (17+22); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 38 (21+17); იაგრი (პიტსბურგი) 38 (10+28); ფლერი (კალგარი) 35 (17+18); ხრისტიჩი (ბოსტონი) 35 (14+21); გრეცკი (რეინჯერსი) 35 (6+29); ამონტე (ჩიკაგო) 34 (22+12); იაშინი (ოტავა) 34 (12+22); ფორსბერგი (კოლორადო) 34 (9+35); აიზერმანი (დეტროიტი) და სუნდინი (ტორონტო) 33 (12+21)*

## კვირის მოთამაშე

**რეი ბურკი (ბოსტონი)**



ბოსტონის სახელოვანმა მცველმა სამ მატჩში ერთი გოლიც ვერ გაიტანა, მაგრამ ბურკის პასების შემდეგ მის პარტნიორებს ერთი შეხებაღა დასჭირდათ, ხუთჯერ რომ გაეხვიათ შაიბა მეტოქის კარის ბადეში. მართალია, მთელი კვირის განმავლობაში დაგროვებული 5 ქულა სულაც არ იყო ზღვარი (გრეცკიმ სამ თამაშში 8 (1+7) ქულა მიითვალა, ხოლო ოტაველმა ალექსეი იაშინმა 5 (2+3) ქულა ერთ თამაშში დააგროვა), მაგრამ ბურკი ხომ მცველია... და კიდევ: ვეტერანმა დეტროიტთან შეხვედრაში 1050-ე პასი ჩაიწერა და ლეგენდარულ გორდი ჰოუს გაუსწრო.

38 წლის მცველი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა ლიგაში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „დათვები“ რიცხვმრავლობას ლიგაში ყველაზე უკეთ იყენებენ.

**კვირის საუკეთესო ექვსეული**

*მაიკ ვერნონი* (სან ხოსე, 2); *რეი ბურკი* (ბოსტონი, 2) — *კევინ ჰეჩერი* (პიტსბურგი, 1); *ალექსეი იაშინი* (ოტავა, 1) — *უეინ გრეცკი* (რეინჯერსი, 1) — *ტეო ფლერი* (კალგარი, 1)


იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5) საერთო ფართობი 165 კვ.მ 3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი წყალი, გაზი

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 38-70-44


# ოდეტი ბუფალოს აღარ სჭირდება

ნჰლ-ის ყველაზე ცნობილი სამი თავისუფალი აგენტიდან ორის ბედი სამ დღეში გადაწყდა.

ჯერ იყო და, აილენდერსელი ზიგმუნდ პალფი შეურიგდა თავის კლუბს, პარასკევს კი ბუფალოელ დონალდ ოდეტის მომავალიც გაირკვა. თავიდან ისე ჩანდა, თითქოს მას კლუბთან უმნიშვნელო უთანხმოება ჰქონდა (თანხა და კონტრაქტის ვადა შეთანხმებული კი იყო, ოღონდ კლუბი ყოველი სეზონის შემდეგ ხელშეკრულების გადახედვას მოითხოვდა), მაგრამ მხარეებმა წინააღმდეგობა ვერ გადალახეს. ბოლოს, ორი თვის შემდეგ, ოდეტმა მიიღო ის, რასაც ითხოვდა — ის უფსკრულის პირას მდგარ ლოს ანჯელესში გაყიდეს. ფორვარდმა, რომელმაც შარშან 24 გოლი გაიტანა (ყველაზე მეტი ბუფალოში), ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 3,6 მილიონ დოლარს მიიღებს. ახალ კლუბში ჩატარებულ პირველივე მატჩში დონალდმა გოლი გაიტანა და „მეფეების“ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

ზემოხსენებული სამეულიდან ჯერჯერობით უკონტრაქტოდ კოლორადოელი სანდის ოზოლინში დარჩა.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟიულ ვერნის სული ცოცხალია



ამ საჰაერო ბურთით, რომელიც სამ კაცსა და უდიდეს ამბიციებს იტევს, ბრიტანელი საფინანსო მაგნატი რიჩარდ ბრენსონი თავის ყოფილ მეტოქე, ამერიკელ სტივ ფოსეტსა და თანაპილოტ პერ ლინდსტრანდთან ერთად მსოფლიოს გარშემო აპირებს შემოფრენას, თანაც მიწაზე დაუშვებლად.

სურათზე „გლობალ ჩელენჯერი“ ჰიმალაის მთებში, 30 ათას ფუტ სიმაღლეზე და 88 კმ სთ-ით მიმქროლია აღბექდილი. უშიშარ მოგზაურებს მსოფლიოს ყველაზე მაღალ მთებზე მეტად, ალბათ, ყველაზე ხალხმრავალი ქვეყნის გადალახვა გაუჭირდებათ — ჩინეთის მთავრობა სამი უცხოელი შერეკილისთვის საჰაერო საზღვრის გადალახვის უფლების მიცემის სურვილით მაინდამაინც არ იწვის.

# ლეკვი ლომისა სწორია...

მთის თხილამურობის მსოფლიოს თასი წლეულს ავსტრიის რეგიონალურ პირველობას წააგავს და როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, ამაში თავისი წილი მარტო კაცებმა კი არა, ქალებმაც დაიდეს.

ინსბრუკში ორშაბათს სულაც უპრეცედენტო რამ მოხდა — სუპერგიგანტში „ჰერმინატორის“ მეთაურობით მასპინძლებმა პირველი ცხრა ადგილი დაიკავეს.

„ვიცით, რომ ჩვენი მოთხილამურეები მაღალი კლასის არიან, მაგრამ ის, რომ ყველა ერთი და იმავე დღეს აღმოჩნდებოდა საუკეთესო ფორმაში, ჩვენთვის მოულოდნელი იყო — განაცხადა ავსტრიელი ვაჟების მწვრთნელმა ვერნერ მარგრაიტერმა — ეს დღე აუცილებლად შევა ავსტრიული თხილამურობის ისტორიაში“.

თავად მაიერის მესამე გამარჯვებამ ავსტრიელებს 12 ეტაპიდან ექვსი მოგება დაუგროვა, „ჰერმინატორი“ კი საერთო ჩათვლაში პირველ პოზიციაზე გადაიყვანა. ახლა იგი მეორეზე მყოფ ერთადერთ არაავსტრიელ ფავორიტ, ნორვეგიელ ლასე კიუსს სამი ქულით უსწრებს, სულ კი საუკეთესოთა ათეულში შვიდი ავსტრიელია.

„ჩვენი კაცები ჯერჯერობით იმედს ამართლებენ — აღნიშნა გუნდის დირექტორმა ჰანს პუმმა — მაგრამ ქალებმა თავიანთი კარგი შედეგებით ყველაზე მეტად გაგვაკვირვეს“.

მსოფლიოს თასის შარშანდელი გამარჯვებულის, გერმანელი კატია ზაიცინგერის არყოფნით, რომელიც ტრავმის გამო მთელ სეზონს გამოტოვებს, ყველაზე უკეთ სწორედ ავსტრიელებმა ისარგებლეს — ალექსანდრა მაიზინცერმა სამ სხვადასხვა დისციპლინაში უკვე ხუთ ეტაპზე იმარჯვა და საერთო ჩათვლაში უახლოეს მდევარს 300 ქულით უსწრებს; რენატა გოიჩლმა ლეიქ ლუიზში ზედიზედ ორი სწრაფდაშვება მოიგო; ერთხელაც სუპერგიგანტში კრისტიანა მატერვალნერმა გაიმარჯვა.

„შარშან კაცები გვჩრდილავდნენ, ასე რომ, ახლა ყურადღების ცენტრში ყოფნა ორმაგად სასიამოვნოა“ — აღნიშნა ნაგანოს ოლიმპიადის ბრინჯაოსა და ვერცხლის პატრონმა მაიზინცერმა.

სანამ ავსტრიელები თავიანთი წარმატებებით ხარობდნენ, ვეტერან ფრანგ ჟანლუკ კრეტიეს კარიერის დასრულება მოუხდა. ვალ გარდენაში სწარფდაშვების ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომელსაც კარიერაში მსოფლიოს თასის ერთი ეტაპიც ვერ მოუგია, მუხლის მყესები გაიწყვიტა, ხელიც მოიტეხა და დიდ სპორტს დაგეგმილზე რამდენიმე თვით ადრე გამოეთხოვა.

# როიტერის რჩეულნი

მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა“ 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენად ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილი ზინედინ ზიდანი დაასახელა.

გამოკითხვაში 35 ქვეყნის 60 სპორტული ჟურნალისტი მონაწილეობდა, რომელთაც „როიტერის“ წარდგენილი 30-კაციანი სიიდან ხუთი საუკეთესოს არჩევა ევალებოდათ. პირველი ადგილი ხუთ ქულად ფასდებოდა, მეორე — ოთხად და ა.შ.

ალჟირული წარმოშობის საფრანგეთის ეროვნული გმირი შარშანდელ გამოკითხვაში ნუსხის ბოლო საფეხურს ამშვენებდა, მაგრამ ამ სეზონში სამ სხვადასხვა ფრონტზე მიღწეული წარმატებებით მსოფლიოს მრავალ კუთხე-კუნჭულში გაიჩინა თაყვანისმცემლები და შედეგად 305 შესაძლებლიდან ყველაზე მეტი, 128 ქულა მიიღო.

„ზიდანი 1998 წლის უმნიშვნელოვანესი ტურნირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვარსკვლავი იყო“ — განაცხადა ებრაული „იერუსალემ პოსტის“ სპორტულმა რედაქტორმა ორი ლუისმა.

ზიდანმა, რომელსაც „ზიზუდ“ იცნობენ, „იუვენტუსის“ შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონატი მოიგო, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალს უწია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ჩემპიონატის ადრეულ ეტაპზე მიღებულ წითელ ბარათს თავი განტევების ვაცად არ აქცევინა და კრიტიკის ქარცეცხლს ბრაზილიის წინააღმდეგ ფინალში ორი შესანიშნავი თავურით უპასუხა.

„სპორტში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლის გატანაზე დიდი მიღწევა არ არსებობს“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება კლაივ ელისმა ლონდონური „დეილი ტელეგრაფიდან“.

გამოკითხვაში მეორე-მესამე ადგილებზე გასული სამთომოთხილამურე ჰერმან მაიერი და მძლეოსანი ქალი მერიონ ჯონსი ერთმანეთისგან მხოლოდ ორმა ქულამ გაყო.

„ჰერმინატორი“ მსოფლიოს სპორტსმენთა ელიტაში მოხვედრას, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, დამტვრევას უნდა უმადლოდეს. ოქროს მედალი ხომ ოლიმპიადაზე ბევრს მოუპოვებია, მაგრამ არა შემაძრწუნებელ ნახტომში ორი დამცავი ზღუდის გატანისა და მთელი სხეულის დაბეგვიდან ორი დღის შემდეგ.

„ნაგანომ სამთოთხილამურობის ისტორიაში პირმინ ცურბრიგენის დღეებიდან მოყოლებული ყველაზე საოცარი რამ იხილა“ — აღნიშნა იანოშ ანდრეასმა ვენური „შპორტმაგაზინიდან“. ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთხილამურემ ცურბრიგენმა 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოქრო ოპერაციიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოიპოვა.

მძლეოსნობის ახალი დედოფალი ჯონსი მთელი სეზონის მანძილზე ერთადერთხელ, სიგრძეზე ხტომაში დარჩა პირველი ადგილის გარეშე.

„მერიონმა კარლ ლუისის მსგავსი ზეგავლენა მოახდინა მძლეოსნობაზე — განაცხადა სინგაპურის „სთრეით ტაიმსის“ ჟურნალისტმა გოდფრი რობერტმა — პატიოსანი და დოპინგისგან სუფთა სპორტსმენი 1998-ის ნამდვილი სენსაცია გახლდათ“

ჯონსმა სეზონში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე საუკეთესო, თანაც ისტორიაში ორგანვე მეორე შედეგები უჩვენა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მკერდი ოქროს მედლებით დაიმშვენა, მძლეოსნობის გრან პრიზე საბანკო ანგარიში — ექვსნიშნა ციფრით და კალათბურთიდან წამოსვლით გამოწვეული სინანულიც საბოლოოდ ამოიგდო თავიდან.

ზემოხსენებულთა გარდა ჟურნალისტებმა 5000 და 10000 მეტრ დისტანციებზე რბენაში რეკორდების პატრონი ჰაილე გაბრესელასიე და „ჩიკაგო ბულზის“ მეექვსე ტრიუმფის სულისჩამდგმელი კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი გამოყვეს.

მეექვსე ადგილი ფორმულა 1-ის ჩემპიონმა მიკა ჰაკინენმა და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა გაიყვეს, მერვე — გოლფის ორი „მეიჯორის“ ჩემპიონებმა მარკ ომეარამ და ჰოუმრანების მეფე მარკ მაკგვაიერმა.

**საუკეთესო ათეული**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზინედინ ზიდანი | ფეხბურთი | საფრანგეთი | 128 |
| 2. | ჰერმან მაიერი | მთის თხილამურობა | ავსტრია | 76 |
| 3. | მერიონ ჯონსი | მძლეოსნობა | აშშ | 74 |
| 4. | ჰაილე გაბრესილასიე | მძლეოსნობა | ეთიოპია | 72 |
| 5. | მაიკლ ჯორდანი | კალათბურთი | აშშ | 66 |
| 6. | მიკა ჰაკინენი | ავტორბოლა | ფინეთი | 61 |
| | პიტ სამპრასი | ჩოგბურთი | აშშ | 61 |
| 8. | მარკ მაკგუაიერი | კეტბურთი | აშშ | 51 |
| | მარკ ომეარა | გოლფი | აშშ | 51 |
| 10. | მარკო პანტანი | ველორბოლა | იტალია | 50 |



REUTERS მონიდან

*გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრები ჩვეულად ვეღარ თამაშობს, მისთვის მაგალითის მიცემა სახელმწიფოს მაღალი ეშელონებიდან გადაწყვიტეს. ქვეყნის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ბონში საშობაო სიმღერების ოსტატთა მიღებაზე თამამემამულეებს იშვიათი მონდომება და ბურთის ფლობის უნარი უჩვენა, ოღონდ ეგ იყო, სამოსი აშკარად უშლიდა ხელს.*


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გია ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29